



ქოველ-კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

კვირა, 28 თვემბერი. 1907 წელიწადი პირველი.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„**ს ი ს კ ა რ ი**“

გამოცემის 1907 წ. 16 სუკუბმბრიდან, კვირეაში ერთსელ.

ერთი წლით ღირს 3 მ., ნახევარი წლით 2 მ., ცალკე 1 მ. 5 კ.

განცხადება—წინა გვერდზე პწკარი 10 კ. უკანასკნელზე 5 კ.

ფოსტის ადრესი: *Кутаись, редакция „Искра“.*

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მესამე დუმა, რაქუნდიხა.—შენიშვნები, ყარიბიხა.—ჩვენი დროის იუდა, ლექსი ვ. ჩახრუხადიხა.—სხვადასხვა ამბები.—პრესა.—ნაწყვეტები წარსულიდან, ივ. გომართელიხა.—მოღვაწეთა მოღვაწეთა, წელკავიხა.—კაპიტალისტები დაირაზმენ, დათიკოსი.—წკიპურტი, კრაზანასი.—გერმანიის მუშათა კლასი და რუსეთის რევოლიუციო, სიტყვა რაზა ღიუქებმურგასა.—უცხოეთი.—მწიგნობრობის გავრცელების საქმე რაქა-ლეჩხუმში, ისიღორე კვიცარიხიხა.—

მესამე დუმა.

სამი დღის შემდეგ სახელმწიფო დუმა მესამეთ შეიკრიბება და დაიწყებს თავის მოღვაწეობას.

მარა ეს მესამე დუმა ბევრით განსხვავდება წინანდელ სახალხო წარმომადგენლოზისაგან. პირველი და მეორე დუმა ხალხის სურვილის ასე თუ ისე გამომხატველი იყო, მასში საკმაოთ დიდი წარმომადგენლობა ქონდა დაბალ კლასებს, მშრომელ ელემენტებს. მასში ძლიერი იყო ოპოზიცია და ამით მთელი დუმა მთავრობას ხალხის ინტერესების სასარგებლოთ ებრძოდა. სულ სხვას ვხედავთ ახლა. 3 ივნისის კანონით არჩევნებში უბირატესობა მემამულეებს მიენიჭა და მათაც თავის შავრაზმული კბილი გამოიჩინეს. ახალი დუმა ოკტომბრისტებით და წმინდა რუს პატრიოტებით იქნება სავსე. ისინი შეადგენენ, დებეშათა საავენტოს ცნობით, დუმის თითქმის სამ მეოთხედს და ამნაირათ სრული ბატონ-პატრონი იქნებიან მესამე დუმაში. ამიტომ ხალხიც ამ მემამულეთა დუმას სხვა თვალით უყურებს.

პირველ და მეორე დუმას ხალხი დიდის

ამბით ეგებებოდა, მისი არსებობა გულში მრავალ იმედებს უღვიძებდა უკეთეს მომავლის შესახებ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პირველი დუმის გარეკის შემდეგ ხალხმა მეორე დუმა მემარცხენე დებუტატებითაავსო. მარა ვერც პირველმა და ვერც მეორე დუმამ ვერ მისცა ქვეყანას ის, რასაც მისგან გამოელოდენ. მემარცხენე დუმა თავისთავათ უძღუარი გამოდგა რეფორმების განხორციელებაში და მით მცხვრებთა აუცილებელ მოთხოვნებების დაკმაყოფილებაში. ხიშტით შეიარაღებული მთავრობა მას სულთამხუთავათ ადგა თავს და ბოლოს არსებობაც მოუსპო. წარმომადგენლების ასე აბუჩათ ადგებამ ხალხს გული აუცრუვა მესამე დუმაზე. შეცვლილმა კანონმა მას გამარჯვების იმედი მოუსპო და ამით მას გულში პოლიტიკური ინდიფერენტიზმის ფესვები გაუმაგრა. ის საარჩევნო ყუთს ნაკლებათ ეკარებოდა და ამით თავის მოწინააღმდეგეთ გამარჯვება გაუადვილა. ამით მან თავის პოლიტიკური მოუმწიფებლობა გამოიჩინა. ან კი სად უნდა შეეძინა პოლიტიკური გამოცდილება? რუსეთის პოლიციური პირობები მას ამის გზას უკრავდა, ყოველ-

გვარ კრებებს ხიშტ-მათრახებით შლიდა, მწერლობითი აგიტაცია აკრძალა და ასე მასას შეუფერებლს, გზა-კვალ აბნეულს ტოვებდა სარჩევნო ასპარეზზე. ეს გარემოება კი მხოლოდ აპოლიტიზმის გზაზე ერეკებოდა ამრჩევლთ. ამნაირათ მთავრობამ თითქო თავის მიზანს მიაღწია, ხალხს პოლიტიკაზე გული აუცრუვა, პოლიტიკური ბრძოლას ხალხი დაუკარგა და თავის მორჩილი და ერთგული წარმომადგენლები აარჩევინა. მემარჯვენე დუმა, მთავრობის ოცნების საგანი, პურიშკევიჩ-დუბროვინის სათარეშო ასპარეზი, მოპოვებულია. მთავრობა გამარჯვებას დღესასწაულს. მარა ხანგრძლივია ეს დღესასწაული? გამართლებს მესამე დუმა, ოკტომბრისტ-პატრიოტებისაგან შემდგარი, მთავრობის პლანებს? ბოლოს მოუღებს ის განმანთავისუფლებელ მოძრაობას და ისტორიის ჩარხს ისევ ძველ წყობილებსაკენ გადაატრიალებს?


აი საკითხი, რომელიც სფინქსით დგას დღეს ყველას წინ და პასუხს თხოულობს. რა შეუძლია სახელმწიფო დუმას?

მას შეუძლია მთავრობის ყოველი განკარგულება დაადასტუროს, მის ყოველ სურვილს კვერი დაკრას და დააკანონოს; ის მისცემს მთავრობას სესხის აღების ნებას, დაუმტკიცებს ბიუჯეტს და ამით დროებით იხსნის კრიზისიდან. ერთი სიტყვით, მთავრობას, ყოველ მხრივ ხელს შეუწყობს, მარა ამით მას შეუძლია მთავრობის დროებით გაღონიერება და არა ძველი წყობილების უკანვე აღდგენა მორჩილი დუმა ნიშნავს იმ „მოღვაწეობის“ განმტკიცებას, რომელსაც დღემდე სტოლიპინი და კომპანია ეწეოდნენ დროებით კანონებით გამოცემით, 87 მუხ. ძალით. მაგრამ განა ისეთი „რეფორმატორობით“, როგორიც სტოლიპინმა გამოიჩინა ჯერ კიდევ მეორე დუმის წინ, შესაძლებელია რუსეთის აწიოკებულ მეურნეობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება და მისი განვითარების გზაზე დაყენება? განა საგლეო ბანკის შემწეობით მიწების გაყიდვით, თემის დარღვევით, გადასახლებით და ხუტორების დაარსებით შეიძლება დამშეულ მრავალ მილიონ გლეხის მეურნეობის აღდგენა? განა სამხედრო სასამართლოებით, მიმოსვლის შეზღუდვით, სასტიკი და უმიზნო რებრესიებით შეიძლება დაცემულ მრეწველობის ფეხზე წამოყენება? რასაკვირველია არა.

მაშასადამე არც რევოლიუციის დამთავრება მოხერხდება ამ გზით. ახლათ აღორძინებული კაპიტალიზმი თხოულობს ფართო ასპარეზს, მის განვითარების უზრუნველყოფელ პირობებს, ე. ი. უფლებრივ წყობილებას, და არსებული ანარქიის დაკანონება, ქონებისა და პიროვნების ალაღბეღზე მიგდება ოღნავაც ვერ წასწევს წინ საქმეს. ამიტომ თუ სტოლიპინის ასეთ ექსპერიმენტებს, გარდა მდგომარეობის უფრო აწეწ-დაწეწისა, არაფერი მოუტანია, ცხადია, დუმის მოღვაწეობაც ასეთივე უნიადაგო და უზნო იქნება. უკეთ რომ ვსთქვათ, მას ექნება მხოლოდ ერთი აზრი, ის საბოლოოდ გამოაშკარავებს ასეთ რეფორმატორულ ჩხირკედლოაობის სრულ უვარგისობას და ბიუროკრატის სრულ სიკოტრეს ერთხელ კიდევ დაანახვებს ქვეყანას. ამიტომ მორჩილი დუმა, რაც უნდა სურდეს მის სულის ჩამდგმელთ, მოძრაობას მაინც ვერ ჩაკლავს, მის საკითხებს ვერ გადაჭრის და ამ მხრივ მთავრობის იმედებს ვერ აასრულებს. ხალხის შეგნებას კი შეიძლება მემარცხენე დუმაზე მეტი საზრდო მისცეს და მით მისი ამოძრაება გამოიწვიოს. მემარჯვენე დუმის შესახებ ის იმ ოცნებებს და იმედებს აღარ ატარებს, რომლითაც პირველი და მეორე დუმის დროს იკვებებოდა. ამასთანავე თუ წინეთ მთავრობა თავის თავს ხალხის მომხრეთ სახავდა და თავის უმოქმედობას დუმის შეურიგებელ დებუტატებს აბრალედა, ახლა ის ასეთ ოპოზიციისაგან განთავისუფლებულია და შეუძლია მთელი თავისი შემოქმედებითი ნიჭი გამოიჩინოს, ხალხის „საბედნიეროთ“ იმოღვაწეოს. აი სწორეთ ამ „თავისუფალ“ მოღვაწეობის სრული სუავგლახე და მავნებლობა აგიტაცია იქნება მის წინააღმდეგ. სწორეთ ახლა თამამათ ითქმის მახე: „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ“.

ეს საქმით გამოჩენა კი მხოლოდ განმთავისუფლებელ მოძრაობას შემატებს ახალ ძალებს და არა ბიუროკრატას. ამნაირათ მესამე დუმა, თავის უნებურათ, ახალ რუსეთის ძალთა ზრდას შეუწყობს ხელს.

ასეთივე შედეგი ექნება დუმის მოღვაწეობას, თუ ის „ზომიერ—გონიერ“ ოპოზიციონერობას გამოიჩინოს და მთავრობას ხალხის სასარგებლოთ რაღაც ნამცეცებს მაინც გაამეტებებს. დღეს ორი წლის მწარე გამოცოთილებით გამოწრთობილი მებრძოლი რუსეთი



ყველა ასეთ რეფორმებს, რაც უნდა მცირე იყოს ის, ხარბათ დაეწაფება და მას თავის ძალთა ორგანიზაციის სასარგებლოთ გამოიყენებს. რეფორმა ბრძოლის წყურვილს არა თუ არ სპობს, პირიქით, მის გასაღრმავებელ საშვალებას მისცემს; ამიტომ ყოველი მცირე რეფორმაც ახალ და სრულ ცვლადების საჭიროებას გააძლიერებს და ამნაირათ მოძრაობას კიდევ უფრო წინ წასწევს.

ამნაირათ, ვერც მორჩილებით და ვერც რეფორმატორობით დუმა მთავრობის პოზიციის ხანგრძლივ გამაგრებას ვერ შესძლებს და მხოლოდ განმთავისუფლებელ მოძრაობას გააძლიერებს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პირველ შემთხვევაში აუცილებლათ 1907 წლის დღეების განქორება მოყვება, მეორეში კი შეიძლება მოძრაობა უფრო „მშვიდობიანი“ გზით წავიდეს, თუმცა ბრძოლის მწვავე მომენტებს მაინც ვერ ავცდებით.

ასეთია მესამე დუმის ბედი, რომელსაც ის ადრე თუ გვიან ვერ აიშორებს. ამიტომ მას ისე არ უნდა ვუყუროთ, როგორც ყოველად გამოუსადეგარს და მავნეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას არ შეუძლია ქვეყნის განმანათლებელის როლი იკისროს. თვით ეს მისი უვარგისობა გამოაუზიზღებს და ამოძრავებს იმ ხალხს, რომელსაც შეუძლია ამ როლის ასრულება და რუსეთის ახალ ნიადაგზე დაყენება.

რაქდენიმე.

—*—
შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.
III.

ამას წინათ „ცისკარში“ წავიკითხე: ქუთაისის სათავად-ახნაურო გიმნაზიის კომიტეტმა ამავე გიმნაზიის ინსპექტორს ოცხელს მისწერა—გვაცნობეთ მასწავლებლებს ვის რა ცენზი აქვთო. პატივცემულ კომიტეტს ძალიან კარგათ შეუთვისებია ის ბიუროკრატიული პრინციპი, რომლის მიხედვითაც დიპლომა არის ერთათ-ერთი უტყუარი საზომი ადამიანის ცოდნა განვითარების დაფასებაში. ამის წინააღმდეგ რა მეთქმის? მხოლოდ ერთი რამ უნდა ვუთხოოთ ქუთაისის ქართულ გიმნაზიის კომიტეტს: უფრო კარგს ინებებდენ ამ კომიტეტის წევრები, რომ ერთ ხელ და სამუდამოთ დაადგენდენ—ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებლებს მოეთხოვოს ექიმის მოწმობა ჯანმრთელობისა და ნერვების სისადის შესახებ. მკითხველი ხუმრობათ ნუ ჩამომართმევს ასეთ რჩევას. ვინ არ იცის, რომ საზოგადოთ მასწავლებლები

ნერვებ-აშლილი ხალხია და ეს გარემოება სახიფათოა მოსწავლე ახალთაობისათვის. ქუთაისის მკითხველებს ეგონებათ, რომ აქ „მოკრივე პედაგოგ“ ბ. სილოვან ხუნდაძეზე ვლაპარაკობ, მარა არც ეს მოსაზრებაა მთლათ მართალი. ამ წერაღში სილოვანზე კი გვაქვს ლაპარაკი, მარა მისი ასეთი ახალი გმირობის გარჩევა სხვებისთვის დაგვიტომა. მაინც ეს ახალი გმირობა ბ. სილოვანისა რა ანგარიშში მისაღებია იმასთან, რასაც მე დღეს მინდა მივაქცო მკითხველის ყურადღება. მუშტი და კრივი თუმცა ძალიან ცუდი პედაგოგიური ზომებია, მარა ეს მხოლოდ ფიზიკური ძალაა, რომელიც მხოლოდ მოსწავლის სხეულს აწებს. ის კი, რაზედაც მე მინდა დღეს ვისაუბრო, რყენის თვით ზნეობას, თვით სულს მოსწავლე ახალგაზღობისას. და ამის მიზეზი კი მხოლოდ ის რამდენიმე ნერვებ აშლილი პედაგოგებია, რომელთაც საფ. ახნაურო გიმნაზიებში დაუბუნდნათ. კომიტეტთ შეუძლიათ ქართული გიმნაზიები გასწმიდონ ასეთი ავთომყოფ მასწავლებლებიდან; უვიცნი მასწავლებლები კი იმდენათ საშიშარი არ არიან; ესეც არ იყოს, ქართული გიმნაზიება უკვე შეეჩვიენ უვიც მასწავლებლებს და მოგვხსენებათ, რომ ქართველებს შეჩვეული ჭირის არ ეშინიათ.

მაინც საკვირველია, რა ეგოისტია ჩვენი საზოგადოება და მასთან ერთათ ქუთაისის კომიტეტის წევრები. ყველა ესენი ჭირსავით გაუბიან ნერვებით ავთომყოფ ადამიანების შეხვედრას, მათთან გამოლაპარაკებას და იმავე დროს ასეთ ავთომყოფ მასწავლებლებს გასაწვრთნელათ აძლევენ თავის მომავლის იმედს, ახალთაობას: გაგვიზარდეთ და ქვეყნისა და მშობლების სასარგებლო მოქალაქე გამოიყვანეთო.

ჩვენში ვერც ერთ ქართულ დაწესებულებას ვერ ნახავთ ისეთს, რომელიც უფრო რაღაც სისხლნაკლულ ორგანიზმს არა გავდეს, ვიდრე ცოცხალ საზოგადოებრივ დაწესებულება, მარა ჩვენ ქართულ გიმნაზიაზე ამას ვერ ვიტყვი, რადგანაც თურმე იქ ყოფილან ისეთი მასწავლებლებიც, რომელნიც არა თუ თვით გიმნაზიას ანათლებენ, გიმნაზიის გარეთაც გამოაქვთ თავისი გონებრივი ავლა-დიდების ნაყოფი და უბედურსა და მზებნელ ქართველ ერს აწვდიან—განათლდი, პროგრესისა და კულტურის გზაზე დადქიო.

აბა ყური დამიგდეთ!

ილია ჭავჭავაძის კუბოს გარშემო ატეხილ „პატრიოტულ“ ფერხულში ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელმა ივანე რატიშვილმა ერთობ თავისებური, განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა.

ის დიხაც არ დასჯერდა მას, რომ ფედერალისტებმა ილიას მკვლელობა მთელ პოლიტიკურ პარტიას მოახვიეს თავზე; მან პოეტის ცხედრის საგურამოდან გამოსვენების დღეს წყევლა-კრულვა უძღვნა მთელი ორი სოფლის — საგურამოსა და წიწამურელ გლეხებს ილიას სიკვდილისათვის. ფედერალისტების გახეთ „ისარმა“ დიდის ამბით აუწყა ქვეყნას ასეთი „მამულიშვილური“ მოქმედება ქართველ პედაგოგისა და ზედ დაუმატა: ბ. რატიშვილის გრძნობით სავსე სიტყვებზე გლეხებმა ტირილი დაიწყესო. ეტყობა, „ისარს“ ამითი მხოლოდ იმისი თქმა სურდა, რომ რატიშვილის სიტყვებმა გლეხებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს და ცრემლები მოადინესო. აქ მხოლოდ ფედერალისტთა ფედერალისტები ივანე რატიშვილისთვის რეკლამის გაკეთება იყო საჭირო და აბა „ისარს“ გლეხების ცრემლები რა ენაღვლებოდა? მისთვის სულ ერთი იყო: ბ. რატიშვილის სიტყვებმა გრძნობით აუტოკეს გული გლეხებს და სიხარულის ცრემლები მოადინეს, თუ ეს ცრემლები გამოწვეული იყო იმ მწველ შეურაცხყოფით, რომელიც მათ ბ. რატიშვილმა მიაყენა და, რომელიც ამ გლეხებს გულის სიღრმეში უსიტყვოთ უნდა ჩაეკლათ. ან იქნება ქართველ ფედერალისტებს შეურაცხყოფათ არ მიაჩნიათ ასეთი საშინელი ბრალდება? ან რატომ თვით „განათლებულმა“ ქართველმა საზოგადოებამ არ დატუქსა ბ. რატიშვილი ასეთის თავხედობისთვის? რატომ ამ „განათლებულმა“ საზოგადოებამ არ მოხოცა საგურამოელ და წიწამურელ გლეხებს ის იუდას ბეჭედი, რომელიც ბ. რატიშვილმა ასე შეუბრალებლათ, ასე უსამართლოთ, დაასვა შუბლზე? პირიქით, საზოგადოებამ თითქო კიდევ მოუწონა ბ. რატიშვილს ასეთი „მოქალაქობრივი უნარი“ და იქნება ბევრსაც შეშურდა: რატომ მე ვერ მოვახერხე ის, რაც რატიშვილმა ქნაო.

როცა ბ. რატიშვილის ასეთი ნამდვილი „მამულიშვილური“ გატაცების ნაყოფი წავიკითხეთ, გვეგონა: რატიშვილი გაგიჟებულა და აწი მას მასწავლებლათ აღარ ედგომება-მეთქი. აბა რა უნდა გვეფიქრა იმ აღამიანზე, რომელმაც ასე შეუბრალებლათ შეურაცხყო ის გლეხები, ის აქტიური ნაწილი ჩვენი ერისა, რომლის ოფლითა და სისხლის მონაგარით იკვებებოდა და დღესაც იკვებება ჩვენი „განათლებული“ საზოგადოება და რომელიც თავისი სიზნელოთ აძლევს სინათლეს ამ უმაღურ ბ. რატიშვილს და ძმათა მათთა. დავიჯეროთ, რომ რამდენიმე საგურამოელმა, ან წიწამურელმა გლეხებმა მოკლეს პოეტი. მერე მთელი ეს ორი საზოგადოების გლეხ-კაცობა რა შუაში იყო, რომ ბრალ-


დების ოქმს უდგენენ, რომ საშვილო მკვლელობა და კრულვას უძღვნიდენ? რას ბძანებდა რომელიმე განათლებული ქართველი ფედერალისტი, რომ მისთვის ვისმე ასეთი ბრალი დაედო? რას ბძანებდა ჩვენი „განათლებული“ საზოგადოება, რომ ასეთი ბრალდება მისთვის იმავე ივანე რატიშვილს წამოეყენებია? ვინ არ იცის, რომ ამ „განათლებულ“ საზოგადოებასაც აშვენებენ ავაზაკნი და კაცის მკვლელნი. აბა გაებედა ჩვენს პედაგოგს მისთვის კაცის მკვლელის დაძახება. ასეთი კადნიერებისათვის ბ. რატიშვილს თუ მეტს არაფერს უზამდენ, საგიჟეთში მანც უკრავდენ თავს... მარა გლეხები ხომ „განათლებული“ საზოგადოება არ არის; ისინი ვერ იგრძნობენ შეურაცხყოფას; ისინი მხოლოდ სიხარულის ცრემლებს ღვრიან, როცა ბ. რატიშვილები მათზე მოიცილიან და ყურადღების ღირსს გახდიან.

ჩვენში ყოველთვის ორი სასწორი არსებობდა ერთისა და იმავე მოქმედების ასაწონათ: ის, რაც „განათლებულ“ საზოგადოებას არ ეკადრებოდა, გაუნათლებელი საზოგადოებისათვის ღვთის წყალობათ ითვლებოდა. ასეთი იყო ნიშნობლივი თვისება ჩვენი ბატონებისა და რა გასაკვირია, რომ ბ. რატიშვილის მოქმედებაც ჩვენმა საზოგადოებამ ასეთის სასწორით აწონა.

ასე თუ ისე, ბ. ივანე რატიშვილი ჯერ ისევ განაგრძობს თავის სასიქადულო მოღვაწეობას თფილისი: ქართულ გიმნაზიაში; ის ისევ ძველებურათ ანათლებს ქართველ მოსწავლე ახალგაზღობას.

რალა უშავს ბედნიერ საქართველოს!

როგორც ვიცით, ჯერ არც ის სილოვანი წაუყვანიათ საავამყოფოში, რომლის ავამყოფი გონებარს ავამყოფი ნაწარმოებიც ამ წუთში თვალწინ მიდევს და რომელსაც „ილია ჭავჭავაძის სახსოვრათ“ ეწოდება. როცა ბ. სილოვანმა აქ, თფილისში, ილიას კუბოსთან წარმოსთქვა თავისი ცნობილი ილიოდორე ბერისებური მოწოდება „შინაური მტრების“ ამოსაქლევათ, ეს კიდევ ისე საშიში არ იყო. ბევრს მისი სიტყვები სულაც არ მოუხმენია და ვინც მოისმინა, იმათაც ბევრი არაფერი გაუგიათ, რადგანაც ბ. სილოვანიც, ივანე რატიშვილისავით, „ნამდვილი მამულიშვილურის გატაცებით“ ლაპარაკობდა. ეს ეტყობა, კარგათ უგრძენია თვით ბატონ სილოვანსაც და, რომ შთამომავლობისათვის არ დაეკარგა თავისი ავამყოფი ჭკუის ნაწარმოები, ცალკე წიგნაკათ გამოუცია იგი და თითო შაურათ აწვდის ქართველ მკითხველებს. ვინც იცის, რომ დღეს ასეთ პატარა წიგნებს დიდი გასავალი აქვს, ის უიქველათ დამეთანხმება, რომ ბროშიურა ერთობ საშიშია და მას დღესვე უნდა აეგოს წესი.



ეს ბროზიურა ნამდვილი მოწოდებაა ქართველი ხალხისა „შინაური მტრების“ ამოსაქლევით; ეს ნამდვილი პროვოკაციაა სხვადასხვა პარტიების ერთმანეთში ცეცხლითა და მახვილით დასარევით მიმართული. ჩვენ შევეჩვიეთ მთავრობის პროვოკატორობას; ჩვენ მთელი ასი წლის განმავლობაში ვიყავით მოწამე მაკიაველის პოლიტიკის *divide et impera*-ს განხორციელებისა... მთელი ასი წლის განმავლობაში სომხებს, თათრებს და ქართველებს ერთმანეთს უსევდენ; ყველა ეს ჩაგრული ერები ერთმანეთის მტრებათ გამოყავდათ და ერთმანეთს უსისიანებდენ... ამ საშიშმა პოლიტიკამ თავისი საშინელი ნაყოფი უკვე გამოაღო; ეს ნაყოფი სომეხთათართა შეტაკება იყო. დღეს მთავრობის ასეთი პროვოკაცია საშიში როდია, რადგანაც ხალხმა უკვე შეიგნო ასეთი პოლიტიკის ღრმა აზრი და ზურგი მიუბრუნა ასეთ პოლიტიკებს. ვის არ ახსოვს, რა გაბედული და აღვირ წახსნილი იყო მთავრობის პროვოკაცია ამ ასის წლის განმავლობაში; მაგრამ ჩვენი ქვეყნის „მოჭირნახულენი“ იქამდე ვერ გაკადნიერდენ, რომ რომელიმე ერისათვის გაებედათ: შენი დამღუპველი თვითონ შენი შინაური მტრებია და, თუ შენი თავის ბედნიერება გინდა, ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას მახვილით დაერიეო. ასეთ გაბედულებამდე არ მისულა ჯერ თვით ღირსი ბერი ილიოდორიც, რომელიც ქრისტეს მოყვარე რუსის ხალხის მტრათ მხოლოდ ებრაელებს ასახელებს. მაგრამ ეს იკისრა ბ. სილოვანმა, უმწერვალესმა ფედერალისტმა, ქართველმა მწერალმა, მასწავლებელმა და ჩვენი მომავლის იმედის ახალი თაობის აღმზრდელმა.

ამაზე მეტი საშინელება იქნება?

თუ ამას ქუთაისის გიმნაზიის გამგე კომიტეტი ვერ ხედავს, რას ფიქრობენ თვით მოწაფეთა მშობელნი, რომელთაც ამ სულით ავათმყოფი ადამიანისათვის მიუნდვიათ თავისი შვილების ბედი?

იქნება არა გჯერათ? მაშ თვით დასტკბით ამ სნეულ ჭკუის სნეულ ნაწარმოებით:

„ქართველ ხალხს, განს მადი, გამოფხიზლადი, გაანჩე მტკნად და მოყვარე! გარეშე მტრებმა ვერასოდეს ვერ შესძლეს შენი დამონება, შენი შეტრფხვნა,—მხოლოდ შინაური მტრებია შენი შემტრფხენი! (იხილე „ი. ჭავჭავაძის სახსოვრათ“, გვერდი 3—4)“.

მერე ვინ არიან ეს შინაური მტრები? უნდა ვიფიქროთ—სოციალდემოკრატია; ეს ის პარტიაა, რომელმაც სილოვანს და მათა მისთა კრიტიკულათ გაუბედა შეხება! მერე რა უნდა უქნას ამ პარტიას ქართველმა ხალხმა? რა და ის, რომ ცეცხლითა

და მახვილით დაერიოს, გაჟლიტოს, დაწვედეს, რადგანაც ასე გვასწავლის თურმე თვით ილიოდორელი შოთა რუსთაველი: „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერიაო“.

მარა სილოვანმა პროზა როდი გვაკმარა; მან წყობილ ლექსებითაც მიაწოდა ქართველ ხალხს ეს პროვოკაცია. ის ლექსებით გვასწავლის თუ როგორ დავსაჯოთ „ეს ქუჩის ბიჭები“, ეს „შინაური მტრები“.

აბა მოისმინეთ:

**„ჩვენი ვადას მოვსქებნათ
ეს მაწანწადა კმაება,
ბზბზ, ჩვენი ქვეყნის გამძვინვალა,
ერისა დამაძინებია!“**

შეიძლება მკითხველმა იკითხოს: აქ ილიას მკვლევლებზეა ლაპარაკი და სოც.-დემოკრატია რა შუაშიაო? მაგრამ ეს შემცდარი ფიქრია, რადგანაც სილოვანი თვით იძლევა ამაზე გადაჭრილ პასუხს:

**„მოვსქებნათ და ჯვანს გავჯვანათ
მათთან, ვინც მათა მტველდა,
ვინც ჩვენი ერის მოძსპობი,
მდაგველი, ცეცხლით მწველია!“**

ეს ქართველ ფედერალისტების პარტიის მთავარი ინკვიზიტორი თვითონაც გრძნობს თავისი „ახალი მოძღვრების“ სიმკაცრეს და რომ იქვი არავის შეეპაროს მისი გონების სისაღეში, ქრისტეს მოძღვრებითაც კი ამტკიცებს თავისი საშინელი მოწოდების კანონიერებას:

**„მე ქესმას ქრისტეს მოძღვრებას,
ნურადეს ვსდგენით ზინად მტკნას,—
მაგრამ ქვეყნისა ორგულებს
ნუ ვაწატაებთ ნურათყურს!“**

ასე ქრისტეს სახელით „მოდღაწეობს“ ცნობილი ბერი ილიოდორიც, მაგრამ სილოვანმა დიდათ გადააჭარბა მას: როგორც ვიცით, ილიოდორეს ლექსები სულ არ ეხერხება და ის რუსებს რუსებზე არ უსისიანებს—ერთმანეთი გაჟლიტეთო.

ნუ თუ ამის შემდეგ ნება არა გვაქვს ვურჩიოთ ქართულ გიმნაზიების გამგე კომიტეტთ ექიმებს გაასინჯონ ეს ორი შესანიშნავი „მოღვაწენი“ და მათი ავათმყოფი გონების ზედ გავლენიდან დაიფარონ ქართველი მოსწავლე ახალგაზდობა.

ჩვენი აზრით კი, ასეთ მასწავლებლებს საგიეე სახლში უნდა ქონდესთ ადგილი და არა სასწავლებლებში.

ჟაკობი.



ჩვენის დროის იუდა.

თავიანდელი, ვით წმინდანი, მიდის და მოდის, თითქო ცდილობსო ჭიანჭველა არსად გასრისოს, როს ლაპარაკობს, მის პირიდან თაფლი ამოდის, კაი კაცობა თავის თავის რომ დაამტკიცოს.

თან სცდლობს მარად, რომ გაგვეცნოს, და-გვიახლოვდეს: რომ ჩვენსა საქმეს, მოქმედებას თვალს ადევნებდეს.

კენის და გმინავს ხალხის ჭირზე, ხალხის ვარაზზე, ვითომ უყვარს ის, მისი მტერი კი ეზიზღება, მაგრამ ნამდვილ კი ფიქრობს იგი სულ სხვა რამეზე: უნდა გაიგოს ამით ჩვენი სულის კვეთება და მოახსენოს დაწვრილებით შემდეგ ჯალათებს: ვინ რაზე ფიქრობს, ვის რა უნდა, ვინ რას აკეთებს.

მისი წყალობით სავსე არის ციხე-ციმბირი, დღე არ გაივლის ისე, ერთი მაინც არ გასცეს. ბევრი ჩაადგო ტანჯვის ცეცხლში მან ხალხის შვილი და, რა თქმა უნდა, საზიზღარი კვლავაც ბევრს მისცემს. მაგრამ ბოლო დროს მის ხელობას თან გადაყვება და გამცემელსა უკან ჩვენი ზიზღი გაყვება.

3. ჩაბრუნება.

სხვადასხვა ამბები.

გაფრთხილება. ადგილობრივი შანტაჟისტები ამ უკანასკნელ დღეებში ბლამით არიგებენ თურქულ სოფ.-დემ. პარტიის სასჯელთ, ბეჭედ-დასმულ მუქარის წერილებს, რომლებთანც იფუტს სტუქუბენ მცხოვრებთ. ამის გამო ქუთაისის სოფ.-დემ. ორგანიზაციას გამოუცხადებია ფურცელი, სადაც აფრთხილებენ ხალხს, რომ ეს შანტაჟი და რომ პარტიას არავითარი ამგვარი წერილები არავისთვის გაუგზავნიან და არც შემდგომში შეუძლია გაუგზავნოს. ჩვენს ჩვენის მხრით გაფრთხილებით მოქალაქეებს, რომ ქურდ-ბანდოებთან აქვთ საქმე და შეცდომასში არ შევიდნენ.

ახალი პირველ დაწვებითი სასწავლებელი. ძველი თფილისის ქუჩის შესასველები, ქვემო რკ. ეიფინის სასჯელში, 27 ოქტომბრიდან გაიხსნა საქალაქო ქალ-ვაჟთა პირველ დაწვებითი სასწავლებელი. მსურველთ შეუძლიათ თხოვნები წარუდგინონ შეკლასის გამკვეთველ-დღე 8 საათიდან 12 მდე.

მებრძოლ რაზმის დაშლა. ჩვენს ქვეყანაში დაფუძნებული უსახელო წერილი, რომლითაც გუბერატორმა მოკვანდათ, რომ კვრთ წოდებულმა „გადასახის რვა-კოლაუნიკებმა მებრძოლმა რაზმმა“ შესწავიტა თავისი მოქმედება და დაიშალა.

ქუთაისის სადგილ-მამულა ბანკის თავმჯდომარის დანიშვნა. ჩვენ შევითქვეთ, რომ ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ისევე ფინანსთა მინისტრს დაუნიშნავს. ამგვარად არ გამართლდა ხმა, მთავრობამ აღუდგინა ბანკს თავმჯდომარის არჩევანი.

ტერ-იოსების დასაფლავება. წარსულ კვირას დასაფლავდნენ სომხების მოძღვარი ტერ-იოსები. ხალხს, რომელიც დასაფლავებას ბლამით დაესწრო. აქსენს, თუ რა კერძოდაც და უსამართლო მოუკლავთ პატარავანი ადამიანი.

ქუთაისის საგარეო ქალების ექვს-კლასიანი სასწავლებელი გადაკეთებულ იქნა რვა-კლასიან სასწავლებლად. ორი წლის შიგნით კურს დამთავრებულთ ხუთ ეძლევათ უკმაყოფილო განსჯილ სწავლას შემდეგ კლასებში.

— ცრუ წინასწარმეტყველება. „ისარისა“ და „ზარ.“-ს კორესპონდენტ წინასწარმეტყველება გაუცრუვდა. — მან გვეყანას აუწყა: საახნაურო გომიზიის კომიტეტმა ინსპექტორს სილოვანის ინციდენტის შესახებ პასუხი მათხოვა. როგორც ნამდვილად გავიგეთ, კომიტეტს ამ საგნის შესახებ კრება მოუხდენია სწორედ ერთი კვირის შედეგ ამ წერილის დასტამბვისა და არავითარი ქალღლი ინსპექტორს ამის შესახებ არ მიუღია.

პ რ მ ს ა.

გაზ. „ისარმა“ თავის ორ ნომერში დაბეჭდა ყარაბის სახას-უსოთ, კეებერთელა წერილი ამ სათაურით: „ლავიობა პუბლიცისტაში“ (პნ № 233 და 234). უშეკლებელი ადგილი ამ უშეკლებელი წერილისა, უკავია როგორც სათაურიც ამტკიცებს, იმ სწორედ ისინი უბერო საბუთს, ვითომ ყარაბი „ახალი ცოცხია“ სოფ.-დემ. პარტიაში, უნდა „ახალ ბატონებსა დამო თავისი ერთგულება გაიფიხინოს“, ასევე „ამხსნაგების, თვალში სასჯელი და პატივი დამისხუროს“ და ამიტომ „ახანაგებს ძველ ბატონებს“, ამიტომ არ მოსწონს მის ს.-ფედერალისტებო.

„Пальцемъ въ небо попалъ“—ო, რუსები რომ იტყვიან, სწორედ ისე მოუვიდა „ისარს“. ყარაბი ახალგაზდობიდან, 12 წელიწადზე მეტი, მთელი



თავის ძალ-ღონით კმისასურება სოც.-დემ. მოძღვრების გავრცელებას ვაკვასიაში, ის ერთი პიროვნებაა. ეს ყველამ იცის, ან იცინა მხოლოდ „ისარის“ გუშინ გამხრელებმა პუბლიცისტებმა.

იმაკე „ისარში“ და „ЗАКАВРАВЕ“-ში ქუთათუნი კორკესზადენტი ერთი შენიშნავს, „ცისკარში“ გაზრეადებული იყო შკოლაში მომხდარი ინციდენტი სილ. ხუნდაძისა.

გაჩილებათ უკეთესი იქნებოდა, კორკესზადენტს დაეწერათ ის, თუ რა მოხდა, და თვითონ მკითხველი მიხვდებოდა, იყო რამე „გაზრეადებული“ ჩვენს გახეთში თუ არა.



ნაწევრები წარსულიდან.*)

როდესაც რომის იმპერია გერმანელებმა დაიპყრეს, ისინი უმთავრესათ მწყემსობითა და ნადირობით სცხოვრობდნენ. დაბინადდნენ თუ არა ახალ ადგილებში, მათ ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან გადმოიღეს მიწის დამუშავება; დაარსდა სხვადასხვა სამეფოები, განვითარდა მათში პოლიტიკური წყობილება და სოფლის ცხოვრებაც გაჩაღდა. გერმანელებმა მიიღეს ქრისტიანობა, მარა ახლა მათ დაუწყო რბევა სხვადასხვა ხალხმა: ნორმანებმა, სარაცინებმა და სხვ. ესენი იტაცებდნენ ბევრ ქრისტიანებს და აღმოსავლეთში მონებათ ყიდდნენ. თვითონ საქრისტიანო სახელმწიფოებში კი მონების რიცხვი თანდათან შემცირდა, რადგანაც რომაელები მონებს იძენდნენ ომების შემწეობით და ახლა კი საქრისტიანო სახელმწიფოები უფრო თავის დაცვას უნდებოდნენ. მიწის პატრონებმა: ეკლესიამ, თავადებმა და სხვ. დაუწყეს თავის მიწებს იჯარით გაცემა; გლეხები იღებდნენ ამ მიწებს სხვადასხვა პირობით. როდესაც მტრების შემოსევა გახშირდა, გლეხები თვითონ ტოვებდნენ თავის ადგილებს და ესახლებოდნენ საეკლესიო და თავადების ადგილებში იმ იმედით, რომ თავი უკვეთ დაეფარათ. გლეხები მიწას მუშაობდნენ და თავადები კი მტრებს იგერებდნენ. ასე გაგრძელდა თითქმის მთელი სამი საუკუნე. როდესაც შედარებით მშვიდობიანობა ჩამოვარდა, მიწის მესაკუთრეებმა გლეხებს ხელი მოუჭირეს, მათთან შეკრული პირობები თანდათან დააკანონეს და გლეხები ყმებათ გადიქვენ. ყმები გაუჩნდა ეკლესიას, სამხედრო წოდებას ანუ თავდაზნაურობას და მთავრობას. განვითარდა იმავე დროს ხელოსნობა, მრეწველობა, ვაჭრობა; ვაჭრობას თან


მოყვა ფუფუნება, რისთვისაც საქრომეცნა-ფული და ყველამ თავის ყმას დაუწყო ცნების ძიება შემოსავლის გასახდელათ კათოლიკეთა. ეკლესია ხმლით შეიარაღდა ჯვარის მაგიერათ და იარაღით ხელში აძრობდა სულს გლეხებს და ართმევდა უკანასკნელ ლუქმას; მისი სიმდიდრე საზღაპრო გახდა და ხალხის სილატაკემ, უბედურებამ, დაცემამ და გარყვნილებამ გადააქარბა იმას, რაც რომაელი ბიუროკრატის ბატონობის დროს იყო ქრისტეს წინეთ. ბატონ-ყმობის დროს გავრცელებული იყო ევროპაში კანონი პირველი ღამისა (ეს კანონი საქართველოშიაც შემოვიდა შემდეგ). კანონი მდგომარეობდა იმაში, რომ ყმა რომ ცოლს შეირთავდა, ბატონს უფლება ქონდა, პატარძალთან დაწოლიყო პირველ ღამეს; ბევრი არ სარგებლობდა ამ კანონით, მარა უმეტესი ნაწილი სარგებლობდა. კათოლიკეთა ეკლესიის სასახელოთ უნდა ვთქვათ, რომ ამ კანონს სამაგალითოთ ასრულებდნენ მისი ეპისკოპოსები და მღვდლები შოტლანდიიდან მოყოლებული იტალიამდე! სასულიერო წოდების მეტი გარყვნა და დაცემა წარმოუდგენელია. ხალხი დარწმუნებული იყო, რომ სწორეთ ანტიქრისტეს დრო დადგა. მოთმინების ფიალა აივსო და იფეთქა გლეხების აჯანყებამ. ინგლისში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ფლანდრიაში ილაჯგაწვეტილი გლეხები მხეცებათ გადიქვენ და ბატონებისას აღარ ზოგავდნენ არც მოხუცებულს, არც ქალს, არც ბავშს — სულ ყველას შეუბრალებლათ ხოცავდნენ. განსაკუთრებით ძლიერი იყო აჯანყება საფრანგეთში მეთოხმეტე საუკუნეში და გერმანიაში მეთუთმეტე საუკუნის გასულსა და მეთექვსმეტეს დასაწყისში. ფრანგ გლეხს მეტ სახელოთ ეწოდებოდა ჟაკი და ამიტომ გლეხების აჯანყებას იქ დაერქვა სახელოთ ჟაკერია. გლეხების მდგომარეობა საშუალო საუკუნეებში ყველგან აუტანელი იყო, მარა საფრანგეთში კიდევ უფრო ვუარესი. თავდაზნაურობა და სამღვდლოება ყმებისა და მიწების პატრონები იყო და არავითარ გადასახადს არ იხდიდა; გლეხებს კი დავალებული ქონდათ სხვადასხვა გადასახადები და მთელ სახელმწიფოს ისინი ინახავდნენ; ამავე დროს ისინი ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული იყვნენ. აჯანყებამ იფეთქა პარიზის მიდამოებში და სწრაფათ მოედვა სოფლებს. გლეხებმა ბევრგან გაიმარჯვეს და რამოდენიმე ქალაქი კიდევ აიღეს. თავდაზნაურობას და სამღვდლოებას თავზარი დაეცა, ისინი სრულებით არ მოელოდნენ, რომ მათი ყმა, მათი ცხვირმოუხოცელი გლეხი აჯანყებას გაბედავდა მათს წინააღმდეგ და ქალაქებსაც კი აიღებდა! მყისვე აფრინეს

*) იხ. „ცისკარი“ № 6.

შიკრიკები ინგლისში და შეუთვალეს იქაურ ბატონებს: თქვენ და ჩვენ მეზობლები ვართ და ამასთანავე ერთი სული და ერთი ხორცი; ჩვენ თუ დაგვამარცხეს და ამოგვწყვიტეს ჩვენმა გლეხებმა, ამათი მაგალითი თქვენს გლეხებს გაათამამებს, ამხედრებს და მაშინ არც თქვენ დაგეყრებათ კეთილიო; ამიტომ სანამ დროა, მოგვეშველეთ, რომ შერთებულნი ძალით დაგვამარცხოთ საერთო მტერიო. ინგლისის ლორდებს და ეპისკოპოსებს ეს სიტყვები კკუაში დაუჯდათ; გამოგზავნეს ჯარი საფრანგეთში; თავად-აზნაურობას ამითი წელი გაუმავრდა, შემოერთდა გარშემო აჯანყებულ გლეხებს, დაამარცხა და ყველა წართმეული ქალაქი დაიბრუნა: დამარცხებულ გლეხებს თავად-აზნაურობის წარმომადგენლები თავისი ხელით კლავდნენ ისე, რომ ბოლოს ხოცვითაც დაიქანცნენ. ცხრა ათასი აჯანყებული გლეხი გამავრდა ერთ ქალაქში; შერთებული ჯარი შეესია ამ ქალაქს და ყოველი კუთხიდან ცეცხლი წაუკიდა; მთელი ქალაქი გადიწვა ისე, რომ ერთიადამიანი ცოცხალი არ დარჩენილა; ვინც ცეცხლს თავი დაახწია, ისინი ხელით დახოცეს. გერმანიაში თავდაპირველათ მოძრაობა დაიბადა კათოლიკეთა ანუ რომის ეკლესიის წინააღმდეგ. კათოლიკეთა სასულიერო მთავრობა რომის პაპათი თავში ამ დროს დიდ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა მთელ ევროპაში; პაპის რისხვისა მეფეებსაც კი ეშინოდათ. განსაკუთრებით ძლიერი იყო პაპის გავლენა გერმანიაში. გერმანია დაყოფილი იყო პატარ-პატარა სახელმწიფოებათ, რომლებსაც ხშირათ დავა და სისხლის ღვრა ქონდათ ერთმანეთში. ამით ისინი ერთი მეორეს ასუსტებდნენ და ეს ფრიად უწყობდა ხელს სასულიერო მთავრობის გაძლიერებას გერმანიაში. პაპამ თავისი ტორი დაადო ყველა მცხოვრებლებს და ის მარტო გლეხებს კი არა, თავად-აზნაურობასაც კი ავიწროებდა. ხალხში დაიბადა სურვილი პაპის თავიდან მოშორებისა; ამ სურვილმა მთელი გერმანია შეაერთა. პაპის კლანჭებიდან გათავისუფლებას ერთნაირათ ნატრობდნენ როგორც გლეხები, ისე თავად-აზნაურობა. გაიმართა აგიტაცია რომის ეკლესიის წინააღმდეგ და დაიწყო ძლიერი მოძრაობა მეთხუთმეტე საუკუნეში; ამ მოძრაობას ეწოდება რეფორმაცია; მისი მეთაური იყო ლიუტერი, რომელმაც კათოლიკეთა ეკლესია გერმანიაში მოსპო, საღვთო წერილი გადასთარგმნა გერმანულ ენაზე და დაარსა ლიუტერანთა ეკლესია. აუარებელი საეკლესიო მიწები ზოგი ახალ ეკლესიას დარჩა, ზოგი თავად-აზნაურობამ წაიღო. გლეხებს კი, რომლებსაც უფრო ესაჭიროებოდათ მიწა, არაფერი არ ერგოთ, საეკლესიო

ქონების განაწილებაში ლიუტერმაც კეთილდღეობას არე დაიჭირა. გლეხები მოტყუებულნი დარჩნენ და მაშინ დარწმუნდნენ: ყველა ჩვენი მტერია—მღვდელიც და თავადიცო, და დაიწყო გლეხების აჯანყება ეკლესიისა და თავად-აზნაურობის წინააღმდეგ. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ტომას მიუნცერი.

მიუნცერი დაიბადა 1490 წელს და დაამთავრა თუ არა განათლება, მღვდლათ ეკურთხა. ის იყო მხნე, გამბედავი, და დაუღალავი და ხალხისათვის თავდადებული მღვდელი; ყოველი მისი ქადაგება იყო ნამდვილი აგიტაცია, რომლითაც ის ხალხს თვალებს უხელდა; პაპის ძალმომრეობას და ბატონობას ის ენერგიულათ აღუდგა წინ და სანამ კათოლიკეთა ეკლესია დამარცხდებოდა, მან გაცილებით ადრე შესწყვიტა ყოველგვარი კავშირი მასთან და პირველმა შემოიღო წირვა-ლოცვა სამშობლო ენაზე. მანამდე კი წირვალოცვა სწარმოებდა ლათინურ ენაზე, როგორც ახლა კათოლიკეთა ეკლესიაში. როდესაც გლეხების მოძრაობა ვაიხარდა და აჯანყებამ იფეთქა, ის აჯანყებას სათავეში ჩაუდგა და ხალხის ბელადი გახდა. მიუნცერი გადადიოდა ერთი ალაგიდან მეორეში, ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში და ამხედრებდა და ამზადებდა გლეხებს. მისი უმთავრესი იარაღი მთავრობისა და შეძლებულთა წინააღმდეგ იყო მიმართული, ის ადგენდა სააგიტაციო წიგნაკებს, საცა ხვათა შორის სწერდა: „სარცვა-ყვლეფის, ქურდობისა და ავაზაკობის ბუდე მთავრობა და თავადებია. ყოველი ფერი იმათ დაისაკუთრეს: თევზი წყალში, ჰაერში ფრინველები, მიწაზე მცენარეულობა, ერთის სიტყვით—ყოველი ფერი იმათ ეკუთვნის, მთელი მათი ცხოვრება ქურდობაზეა დამყარებული და ღარიბებს კი უქადაგებენ: ღმერთი გავალვსთ, არა იპართო! ისინი სცარცვავენ ყველა მცხოვრებლებს, ღარიბ გლეხებსა და ხელოსნებს და თუ ღარიბმა სულ უბრალო რამ მოიპარა, მაშინათვე ჩამოახიობენ“ (მაშინ ქურდობისათვის სიკვდილითა სჯიდნენ). მიუნცერი ამტკიცებდა: რევოლიუცია, აჯანყება ხალხის უფლებას შეადგენს და, როდესაც მას მთავრობა და თავადები ტყავს აძრობენ, ღმერთიც კი ნებას აძლევს, ხმალი ამართოს მათს წინააღმდეგო. მიუნცერმა მოუყარა რვაათას კაცს თავი, მარა იარაღი ცოტა ქონდა. მთავრობა შეშინდა და გამოუცხადა აჯანყებულ გლეხობას და მუშებს სხვადასხვა შეღავათი. გერმანიაში გავრცელებული იყო ამდროს მთა-მადნის წარმოება და მუშები აჯანყებულ გლეხებს მიეხმრნენ. მთავრობის დაპირებით ბევრი მოტყუვდა. თუმცა მიუნცერი უმტკიცებდა:



მთავრობის სიტყვებს ნუ ენდობითო, მარა ხალხი გამოუცდელი იყო; ზოგიერთი სოფლები დაწყნარდნენ, მუშებმა მუშაობას მოკიდეს ისევ ხელი. როგორც უკვე მოვიხსენიეთ, გერმინია ამ დროს დაყოფილი იყო სხვადასხვა სამეფოებათ და სამთავროთ. მთავრებმა გლეხების მოტყუებით ისარგებლეს, ერთმანეთში მოილაპარაკეს, ჯარი მოაგროვეს, შეერთდნენ და თავს დაეცენ მიუნცერს; ბრძოლა სასტიკი იყო, მარა მიუნცერი დამარცხდა; ის შეიპყრეს, ჯერ აწამეს და შემდეგ თავი მოკვეთეს 1525 წელს. მიუნცერს უნდოდა მარტო მთავრობისა და თავადების ბატონობის აღადგინა კი არა, არამედ მთელი არსებული წყობილების გაუქმება და მის ნაცვლათ კომუნისმის შემოღება. მას მთელი პროგრამა ქონდა შემუშავებული და მისი მიზანი იყო წოდებათა მისობა, სრული თანასწორობა, კერძო საკუთრების გაუქმება და საერთო საკუთრების შემოღება, სავალდებულო შრომა და სახალხო მმართველობა. მან თავისი ძალოვნე, ახალგაზდობა და სიცოცხლე შესწირა გაჭირვებულთა შავი დღის გაუმჯობესებას, მარა მაინც უსამართლობამ გაიმარჯვა.

ინგლისის ხალხი თავიდანვე უფრო შეგნებულათ, წინ დახედულათ და ენერგიულათ იბრძოდა თავისი ცხოვრების გასაუმჯობესებლათ და ამიტომაც დღეს ევროპაში არსად არ არის ხალხის თავისუფლება და კეთილდღეობა იმდენათ უზრუნველყოფილი, როგორც ინგლისში. გლეხების აჯანყებაც იქ უფრო ნაყოფიერი იყო, ვიდრე სხვაგან. ინგლისში გლეხები თითქმის იმავე დროს აჯანყდნენ, როცა საფრანგეთში. მათი მეთაური იყო მღვდელი ჯონ ბოლი, რომელმაც მთელი კომუნისტური ამხანაგობა დაარსა. „კეთილდღეობა არ დამყარდება მანამდე, — უქადაგებდა ის ხალხს, — სანამ ყველაფერი საერთო არ გახდება, სანამ არ მოისპობიან ბატონი და მოსამსახურე და სანამ ყველა არ გათანასწორდებით. ჩვენ ყველა ადამ და ევას შვილები ვართ. რითი დაგვიმტკიცებენ ჩვენი ბატონები, რომ ისინი ჩვენზე უკეთესები არიან? იმითი, რომ ჩვენ ვშრომობთ და ოფლს ვღვრივთ და ისინი კი ჩვენს ნაოფლარს შეექცევიან? ან იქნება იმითი, რომ ისინი საუცხოვო სასახლეში უქმათ ატარებენ დროს და ჩვენ კი ქარსა და წვიმაში მინდვრებში ვმუშაობთ? ან იქნება იმითი, რომ ისინი ხავერდებში და აბრეშუმში არიან მორთულნი და ჩვენ კი სამოსელში? ეს მათი ფუფუნება, მათი შევნიერი სასახლეები, მათი ხავერდი და აბრეშუმი განა ჩვენის მაჯით არ არის შექმნილი და სხვა? თუმცა ინგლისის გლეხებმა ბევრი შეღავათი მიიღეს, მარა

საერთოთ მათი მდგომარეობაც უნუგეგმოდნენ და რაც დრო გადიოდა, მით უფრო ავიწყლებოდათ თავად-აზნაურობა და მთავრობა.

ივ. ზომართელი.

(შემდეგი იქნება)



მოღვაწეთა მოღვაწეობა.

იაკობი უკიდურესი პროგრესისტი, მეტისმეტათ მხნე, განვითარებული და წარმოუდგენელი ენერჯის პატრონი კაციაო, ამბობდნენ ზოგიერთები ქალაქის აზრეზების წინ.

ის დიდი ნიკოს მარჯვენა ხელია, უმატებდნენ სხვები. თუ რამ ფოთში გაკეთებულა, სულ მისი წყალობით. ნიკო მომეტებულ ნაწილათ პეტერბურგში იყო, იქ კი ყოველივე საქმეს იაკობი ასრულებდაო.

ატესტაცია, დამეთანხმებით, უკეთესი აღარ შეიძლება და ჩვენც, უბრალო მოქალაქენი, გულის ფანჯრულით მოველოდით მის ქალაქის თავათ არჩევას. თუმცა ჩვენი „ცოციალა“ ფედერალისტები ბევრს ეცადენ მის გათავებას (სხვაფერ არ იფიქროთ გათავებას ე. ი. ქალაქის თავათ არჩევას), მარა ჩვენმა უკიდურეს რეაქციონერმა ქალაქის მამებმა ახალ ლხინს ძველი ჭირი არჩიეს და იაკობი გააშავეს. ჩვენი „ცოციალები“ გაიბუტენ და არჩევნების დარბაზი დემონსტრაციულათ დასტოვეს. „ცოციალების“ გაბუტვა ვერ დაურჩათ რეაქციონერ მამებს სასიამოვნოთ. მათთან კავშირის გაწყვეტა არ იყო მათთვის ხელსაყრელი და ისევ მორიგება არჩიეს. ისინიც ხომ ჩვენი ძვალნი ძვალთაგან და ხორცნი ხორცთაგან, ღვიძლი ძმები არიან, ამბობდნენ მამები.

— მართალია, ცოტათი „მოიცოციალებენ“, მარა ეს საშიში არაა. ისინი განათლებული, ქვეიანი კაცები არიან, კარგათ იციან, რა დროს რა გამოადგებათ, მაგალითათ აღრფ სოციალისტობა იყო გამოსადეგი და ისინიც სოციალისტობამდე აცოციალდნენ, ახლა კი, რეაქციის დროს, დარწმუნებული ბძანდებოდეთ, ჩვენამდე ჩამოცოციალდებიან. მარტო ოქროს ტომრები რომაქ დავეყაროთ, რა უნდა გავაკეთოთ! დოკლადებია საჭირო, პროექტები, რეჩები... ჩვენ კი ვერც დოკლადს დავწერთ, ვერც პროექტს, ვერც რეჩებით მოვიწონებთ მაინცა და მაინც თავს, ზოგი ჩვენთაგანი „რაქვიან-ნა-რაქვიანას“ იქით სიტყვას ვერ მოაბრუნებს და ზოგიც ბუ-ბუ-ბუს იძახის. არა, იმათი ჩამოშორება ხელს არ მოგვცემს, როგორმე უნდა შევირიგოთ. მართალია, თავათ ვერ ავირჩიეთ, მარა რა უშავს, „ფე-

ხათ ავირჩიოთ. ამდენი ხანია ჩვენი თავი მარტო ერთ „ფეხხეა“ დაყრდნობილი, ეს „ფეხიც“ მთლათ ქარებით და პოდაგრითაა შეპყრობილი და ამიტომაცაა, რომ ქალაქის საქმეები უძრავათაა; არავითარი წინმსვლელი არ ეტყობა. ახლა ჩვენ თავს რომ მეორე „ფეხიც“ გამოვაბათ და ამ „ფეხხათ“ თუ იაკობი იქნება, სულ ბრიგინ ბრიგინით წავა წინ ჩვენი საქმე. მე შენ გეტყვი ვერ გასწვს თუ! ფას მასთან პეტრე ნაკაშიძის ბულა! არჩიეს და გადასწყვიტეს. აფრინეს მაშინვე „ცოციალებთან“ პარლამენტორები: გვაბატოეთ, რომ თქვენი ნაქები კაცი თავათ ვერ ავირჩიეთ, მარა არც „ფეხობა“ დასაწუნი თანამდებობა, მობძანდეს, ერთხმათ ვიარჩევთ ქალაქის „ფეხათაო.“ ეს რომ იაკობმა გაიგო, ავარდა, დავარდა, ქვა აავდო, თავი შეუშვირა, რას ქვია, ვის ქვია! „ფეხობა“ როგორ მკადრეს, „ფეხათ“ მხოლოდ იმ შემთხვევაში დავდგები, თუ ჯამაგირს ქალაქის თავთან გამითანასწორებენ, ისე ქუთაისში ფეხის დამდგმელი არა ვარო!..

ჩვენს შამებს რომ ცოტაოდენი წინდამხედლობა გამოეჩინათ... მაგრამ რას ვამბობ, წინდამხედლობა მათ სხომის როდის გამოუჩენიათ, რომ ახლა გამოაჩენდენ. ჰო, ცოტა რომ წინდამხედლობა გამოეჩინათ, იაკობი სიხარულით დასთანხმდებოდა ჩვეულებრივ ჯამაგირზე, რადგანაც უკანასკნელ ხანებში ნიკოლაძესთან მას წყალი შესდგომოდა (აღბათ დღეღვის დროს ზღვა გადმოვარდებოდა) და იქ აღარ ედგომებოდაო. რამდენათ მართალია ეს, არ ვიცი, მარა ის კი ნამდვილათ ვიცი, რომ ჩვენი შამები მაშინვე დასთანხმდენ და იაკობს ქალაქის თავთან ჯამაგირი გაუთანასწორეს.

ეს დალოცვილები საკუთარ ჩით-მიტკალზე მუშტარს მთელი საათობით ეყიჭინებიან, აქ კი წარბიც არ შეუხრიათ, რამდენიც მოითხოვა, იმდენი მისცეს. ვითომ რატომაც არ მისცემდენ, მათ ჯიბეს ხომ არაფერი აკლდებოდა! დიან დიდი უპრაველსობით გადასწყვიტეს იმოდენივე ჯამაგირის მიცემა, რამოდენიც ქალაქის თავს ეძლევა. მხოლოდ ერთმა პედაგოგმა განაცხადა პროტესტი და მასთან ორიოდ სხვამ, მარა ამ პროტესტისათვის ბარე ორი მოხვდა პატივცემულ პროტესტანტ-პედაგოგს „ისრის“ ფურცლებზე იაკობისაგან.

რა კი სასურველი ჯამაგირი დაუნიშნეს, იაკობი დათანხმდა და ის თითქმის ერთხმათ არჩეულ იქნა ქალაქის გამგეობის წევრათ. გავიდა ხანი, გუბერნიის სამმართველომ განიხილა ქალაქის საბჭოს დადგენილება იაკობის ჯამაგირის შესახებ, მაგრამ არ დაამტკიცა, რადგანაც ვერავითარი კანონსერება და სამართლიანობა იმ გადაწყვეტილებაში

ვერა პოვა. იაკობმა ყურები ჩამოყარა მოგესხნებათ, ყოველ კანონს აქვს თავისი „აბრუნო“. მალე იაკობმაც გამოახა კანონის მისახვევ-მოსახვევი ბილიკები, ჯამაგირი ქალაქზე კანონიერი დაიტოვა, მარა მისი რაოდენობა, სხვა და სხვა კანონიერ თუ უკანონო წამატებით მაინც სასურველ ნორმამდე აიყვანა. საბჭომაც, რასაკვირველია, კვერი დაუკრა და მთავრობის veto-ს კბილი მოსჭრა.

ასე და ამა პირსა ზედა, იაკობი შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. უწინარეს ყოვლისა მან ქალაქის გამგეობაში გამოაცხადა დიქტატურა, სამხედრო კი არა, ისე სამოქალაქო... გამოაკრა სხვა და სხვა პრიკახები ისეთი პრიკახები, რომ თავის შინაარსით თვით არხიბიუროკრატებს გულს შურით აუვსებდა. შემდეგ, როგორც ყოფილმა სოციალისტმა და საწყალი ხალხის მფარველ-დამცველმა, თავისი განათლებული ყურადღება ქალაქის დაბალ მოსამსახურეებს, მეფარნეებს, მიაპყრო. მოუსპო მათ ორი შაურის სპიჩკა, რომელიც ქალაქიდან ფარნების ასანთებათ ეძლეოდათ და უბძანა საკუთარი ხარჯით აენტოთ ფარნები; დაავალა ფარნები მთავრის ამოსვლისას ჩაეჭროთ და ჩასვლისას აენტოთ. ამ ბრძნული განკარგულებით ქალაქს თვეში ორი-სამი ფუთი ნავთი მაინც გადაურჩება, მარა საწყალ დღიურ შრომით მოქანცულ მეფარნეებს ღამის პირველ საათამდის უხდებათ ლოდინი, ეყრებიან ძველი გამგეობის ნესტიან იატაკზე და უმისოდაც ავთამყოფებს სენი კიდევ უფრო ემატებათ და უძლიერდებათ. როგორც იქნა გაბედეს და მეფარნეებმა ბატონს მოახსენეს; იმ ორი შაურის სპიჩკას თქენი ქირი წაუღია, მარა სამიოდე ფუთი ნავთის ეკონომისათვის ჯანს ნუ გვაწყვეტიებთ, თუ ეს განკარგულება არ შეგიცვლიათ, დარწმუნებული ბძანდებოდეთ, წამალში ჩვენზე მეტი დაგეხარჯებათ, ვიდრე ნავთის ეკონომიით მოიგებთო. მეფარნეების კადნიერებამ დიქტატორი მეტათ გაარისხა, როგორ თუ ამათ ჩემი ბძანების კრიტიკა გაბედესო, აიღო და ქალაქის აფთიაქიდან უფასოთ წამლის ძლევაც მოუსპო.

წელკავი.

კაპიტალისტებიც დაირაჯებენ. *)

წინა წერილში ჩვენ აწუხებთ ერთი იმ ბრძოლის საშვალებათაგანი, რომელიც კაპიტალისტების განკარგულებაშია მუშების წინააღმდეგ, სახელდობრ ლოკაუტი. ესლა შევეხოთ სხვებსაც. მათში

*) იხ. „ცისკარი“ № 3.

საპატიო ადგილი უკავია ე. წ. შავ საკის (черные списки). ჩვენ ვიცით, რომ ყველა მუშა ერთგვარათ შეგნებული არ არის.—მუშები შეგნების მხრივ იყოფიან: მოწინავეებათ, საშვალო შეგნების მქონეთ და მასათ. ყოველ სამრეწველო, ან სავაჭრო დაწესებულებაში მოწინავე მუშების როლი დაუფასებელია დანარჩენი ამხანაგებისათვის. მოწინავეები აკავშირებენ ორგანიზაციულათ შეუკავშირებელ მუშებს, ეწევიან შეუგნებელ ამხანაგებში პროპაგანდა-აგიტაციას, უხსნიან ამხანაგებს თუ რა გვარი დამოკიდებულება უნდა იყოს მათსა და ხაზინებს შორის, აღრმავებენ და ზდიან გონებრივათ ჩამორჩენილ ამხანაგების კლასიურ თვითშეგნებას და სხვა... როდესაც საქმე პრაქტიკულ გამოსვლაზე მიდგება—აქაც მოწინავეები პირველ რიგში არიან, ისინი ამზადებენ ნიადაგს გაფიცვებისათვის, უხსნიან ამხანაგებს მის სოციალურ მნიშვნელობას მუშათა კლასისათვის, გაფიცვის დროს ამხნევებენ ამხანაგებს, ზდიან მათ საბრძოლველ ენერჯიას, პატრონებს მუდამ კრიკში უდვიან და შეგნებულათ და თავდადებულათ აწარმოებენ მათ წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლას... ასეთია მოწინავე მუშა—ამხანაგების მნიშვნელობა კლასიურ ბრძოლის ხელმძღვანელობაში. თავის თავათ ცხადია, რომ მათი ასეთი მნიშვნელოვანი როლი არც პატრონებისთვის რჩება დაფარული. ხაზინებმაც კარგათ იცნან, თუ ვინ ეწევა მათ წინააღმდეგ პროპაგანდა-აგიტაციას, ვინ არის გაფიცვების სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი, ვინ არის მათი დაუძინებელი მტერი და სხვა. რომ მართო მოწინავე მუშები კი არ არიან კაპიტალისტების მოწინააღმდეგე, არამედ მთელი მუშათა კლასი, რომელიც თავის სოციალური მდგომარეობით ძირიან-ფესვიანათ ეწინააღმდეგება კაპიტალისტთა ბანაკს, ეს კაპიტალისტებისათვისაც აშკარაა. მარა, ვინაიდან მთელი კლასის, ან თუ გინდ მრავალ რიცხოვან მუშათა ჯგუფების წინააღმდეგ გალაშქრება ძალიან საქნელო საქმეა და არც იაფათ დაუჯდება პატრონებს, ამისათვის ისინი მიმართავენ ხოლმე მუშების წინააღმდეგ სხვა უფრო მათთვის ხელსაყრელ საშვალებას. ასეთი საშვალეებაა შავი სიები, რომლების მნიშვნელობაც შემდეგში მდგომარეობს. რომელიმე ქალაქის მექარხნეები იკრიბებიან და ადგენენ, რომ თვითეულმა მათგანმა შეადგინოს სია იმ მუშებისა, რომლებიც უფრო „ზაბასტოვშიკ ბუნტოვშიკები“ მათ ქარხნებში. შემდეგ ამგვარი სიების კოპიოებს გადაიღებენ და ერთი მეორეს დაურიგებენ მექარხნეები. ვაი იმ მუშის ბრალი, რომლის სახელი და გვარი ამგვარ შავ სიებში მოყვება! შავ სიაში აღნიშნულმა მუ-

შამ წინდაწინვე უნდა იცოდეს, რომ თუ ვინაა მემრთი და ერთ ადგილზე მან სამუშაო დატოვა მისთვის სხვა ქარხნების კარები სამუდამოთ დახურულია, ვინაიდან მას შავი სიების მეოხებით იცნობენ ისე, როგორც „ზაბასტოვშიკს და არავითარ შემთხვევაში სამუშაოს არ მისცემენ. სანამ კლასიური ბრძოლა ისეთ მწვავე ხასიათს მიიღებდა, როგორც ეს დღესაა, შავი სიების მნიშვნელობაც სუსტი იყო. შავ სიებს ადგენდენ თითო-ორილა მეპატრონეები და მათში აღნიშნავდენ ხოლმე მხოლოდ მოწინავე მუშების სახელსა და გვარს, როგორც ეს ზემოთაც მოვიხსენიეთ. დღეს კი შავ სიებს უფრო ფართო მნიშვნელობა ეძლევა, ვინაიდან მათ შედგენაში მონაწილეობას ღებულობენ არა ერთი და ორი მექარხნე რომელიმე ქალაქისა, არამედ კავშირი მექარხნეებსა, რომელიც ხშირათ აერთებს არა მართო ერთი რომელიმე ქალაქის კაპიტალისტებს არამედ რამოდენიმე ქალაქისას და ამგვარათ ფართო საოლქო ხასიათს ღებულობს. წინეთ თუ შესაძლებელი იყო მეპატრონეებისათვის მოწინავე მუშების გვარები მოექცია შავ სიებში—დღეს ეს შეუძლებელი ხდება, ვინაიდან კლასიურ შეგნების ზდასთან ერთათ მოწინავეების მნიშვნელობაც ძირს იწევს და მათ ადგილს მასა—მთელი მუშათა კლასი იჭერს.—დღეს უკვე შეუძლებელი ხდება მოწინავე მუშების გამოთიშვა და მათ წინააღმდეგ ბრძოლა—ვინაიდან მუშები განურჩევლათ შეგნების ხარისხისა და პარტიული შეხედულებისა შეკავშირებული არიან პროფესიონალურ კავშირებში. აქ ერთი მუშის წინააღმდეგ ბრძოლა მთელი მუშების წინააღმდეგ ბრძოლათ იქცევა, ერთის ან რამდენიმე მუშის შეურაცხყოფა მთელი მუშების შეურაცხყოფაა, აქ—პროფესიონალურ ორგანიზაციებში შეკავშირებული მუშებისათვის ერთ-ერთი დევიზია მეპატრონეებთან ეკონომიურ ნიადაგზე ბრძოლაში: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის!.. აი ამ პირობების შეცვლისა და გვარათ იცვლება შავი სიების მნიშვნელობაც, ე. ი. მათი სამოქმედო ასპარეზი გაცილებით უფრო ფართოა დღეს, ვინემ წინეთ იყო. ამის მაგალითს გვიჩვენებს „საქარხნო მრეწველობის განვითარების ხელის შემწყობი“ პეტერბურგის საზოგადოების დადგენილება: „არც ერთ ქარხანაში, ან ფაბრიკაში მიღებულ არ იქნენ დახურულ ქარხანა-ფაბრიკის მუშები, თანხმათ იმ სიებისა, რომლებიც საზოგადოების ყველა წევრებს დაურიგებათ“. ეს დადგენილება იყო პასუხი იმ ბოიკოტზე, რომელიც პეტ. მუშებმა გამოუცხადეს ადგილობრივ მექარხნეებს და მეფაბრიკეებს 1906 წელს აგვისტოში. ხაზინების

მიერ შედგენილ შავ სიებში შეტანილ იქნა 2,000 მუშის სახელი და ვვარი, რომლებსაც არც ერთი საზოგადოების წევრი (ასეთი წევრი იყო 100-ზე მეტი) არ მიიღებდა სამუშაოთ, სანამ ამისათვის „ხელახალ განკარგულებას არ მიიღებენ“. როგორც ხედავთ, შავი სიები დღეს რამდენიმე მოწინავე მუშის წინააღმდეგ კი არაა, მთელ გაფიცულ მუშათა და პრ. კავშირების წინააღმდეგ არიან მიმართული, რომ ისინი დაასუსტონ, დაიმორჩილონ, მოთხოვნილებებზე ხელი ააღებინონ და პატრონების ძლიერების წინაშე ქედი მოახრევიონ. ასეთია შავი სიების სოციალური მნიშვნელობა.

ლათიკო.

(შემდეგი იქნება).



წ კ ი ვ უ რ ტ ი.

ვინ იცის, რამდენი ხანია ერთი წერილის დაწერა მიწოდდა, მარა ამ არეულმა დრომ ნება არ მომცა; ესეც არ იყოს, აბა რა გუნებაზე იქნები კაცი, როდესაც გირვანქა პური ერთ შაურათ გახდა და წელეებს შიმშილისაგან ლაღლასი გააქვს. მარა რა გაეწყობა, ასეთი მაგალითი ხშირათ მოყვება მიხაკოს ხმონობას და მისი ქალაქის „მამებთან“ მეგობრობას. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ხშირათ მომაგონდება ხოლმე ერთი ამბავი და მაშინვე კალამი ხელიდან მივარდება: რამდენისამე წლის წინეთ, მახსოვს, ერთმა ჩემმა მეგობარმა, „კვალში“ იმასხრა და რალაცა დასწერა, სხვათა შორის ჩვენებური „კეთილშობილები“ როგორღაც კარგაფი ვერ მოიხსენია; დაინახეს თუ არა იმ წერილი? ავტორი ბულვარში, გამოუდგენ ხანჯლით და კინალამ ზედ ააკვს... აბა, მოდი და სწერე რამე. აღიხანოვს გადარჩე, დიმიტრი მგელაძეს დაემლო, ცომიას რისხვა აიცდინო და ვიღაც ფხიკიანმა აზნაურმა ან ნათავადარმა კი გვერდები მიგამტერიოს! არა, იმათ ისევე თავს დავანებებ და ჩვენი ქალაქის მამებზე, თუ მამინაცვლებზე, ვილაპარაკებ. თუმცა გაჯავრება იმათაც იციან, მარა მაინცა და მაინც არაფერი დიდი რაინდები არიან და თავს ადვილათ დავახწევ. ქალაქ ქუთაისის, ჩვენი „მამების“ თვალში, შეადგენს ერთი შუაგული უბანი, ისიც სავესებით არა; გარეშე ამისა ქუთაისი არ არსებობს. ამ პატარა შუაგულში ქუჩებიც გვარიანია, მტვერიც უფრო ცოტაა, აქაა მთელი ღვიანთა სამეფო, ბალის გარშემო ჩაუმწკრივებით ხაფანგები და პირ დაღებული ელიან გარეშე უბნე-

ბიდან შემოსულ ღარიბებს ტყავის გასქრობათ; რათა ღიპნი თვისნი სწიონ და სწიონ, ~~სწიონ~~ ტყავი. ამაშა ჩვენი ქალაქის „მამებიც“. აქვეა ქალაქის, უკაცრავათ პასუხია, თვითმართველობა და შიგ მობუნავე ქალაქის კეთილშობილი მამინაცვლებიც. ათ საათზე მობძანდებიან ეტლებით ჩვენი მამინაცვლები და სავარძელსა რბილსა გადაესვენებიან, მიართმევენ მათ ცხელ-ცხელ გაზეთებს და შეუდგებიან კითხვას. ამ კითხვის დროს ზოგს „ზიკი“ უკბენს, ან კიდევ „ეკალი“ უჩხვლეტს, ან და „წელკავი“ გაუვლის და შეიქნება ერთი აურ-ზაური: მოიყრიან თავს ნაკბენ ავათმყოფთან და შეიქნება ერთი განგაში. ამ განგაშსა და დავიდარაბაში დროც გადის და მამინაცვლებიც მიდიან, რათა მიაგონ კუქსა თვისსა წვლილი თვისი. აი, ასე ატარებენ დროს და ამ პაწია შუაგულ ქუთაისის მეტს ვერას ხედავენ და ვერას ცნოსვენ.

თუ ეს ასე არ არის, აბა მიბძანდით და კითხეთ რომელიმე მათგანს, თუ რა ხდება ქალაქის განაპირა ადგილებში, ან თუნდ ქუჩები თუ იციან. რომ მათ თვალთან ერთათ, ცნოსვაც არა აქვთ, ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ თვით უპრავის შენობასთან, ასე ოცდა ათი თუ ორმოცი საყენის სიშორეზე, არის „პოდგორნი“ ქუჩა, რომელზედაც, ერახელ მაინც რომ გაველოთ, თვალწინ გადაეშლებოდათ გახრწნილი ძაღლი, დამხჩვალი კატა, ქათამი, ლაყე კვერცხები და სხვა, რომელთაც ისეთი ძლიერი სუნი აქვთ, რომ თვით უპრავის „პოდივზამდის“ მიაღწევს; ეზოებიდან ქუჩაში გადმოყრილი ნაგავი, ჯღანები და ბევრი ამისთანები, იქვე სამქედლოების უკან მთელი ეზოები ფარებებათ ქცეული და შიგ ქოჭი ყოველივე სიბინძურით სავსე, ფეხის ადგილების უქონლობის გამო მთელი ეზოების აყროლებული სუნი, უეჭველია, მოხვდებოდათ ჩვენს მამინაცვლებს, ამ ქუჩაზე რომ გაველოთ. მარა ამ ქუჩების დათვლიერება ისე ეშინიათ მათ, როგორც ურიას ღორის ხორცის. აბა, პატარა გასცილდენ კიდევ და ისინი ნახვენ გაუვალ ტალახს, მყრალ წუმპეს, დანგრეულ ტროტუარებს, სადაც ის არსებობს, და ათასნაირ სხვა ბინძურ არხებს. მარა რას ვამბობ, იქ რა უნდათ მათ დიდებულებათ! იქ მხოლოთ მაშინ გზავნიან თავიანთ აგენტებს, როდესაც ქალაქის კასაში საფანელი შემოაკლდებათ და კუქის მასალა აღარ ექნებათ. გაგზავნიან მაშინ და პოლიციის დახმარებით დაარბევენ საწყალ ღარიბ ხალხს. ან კი რა ქნან? თავიანთ მეგობრებს ხომ ვერ შეაწუხებენ, რომელთაც ორმოც და ორმოცდაათ თუმნობით აქვთ ნელომკები! ისინი საჭირო ხალ-

ხია და ფულის თხოვას როგორ კადრებენ. ისევ ღარიბს, ისევ ღატაკს აძრობენ ტყავს. ნათქვამია, „ღარიბი კაცის პური გემრიელია“, მარა იცი, მკითხველო, ყველაზე უფრო სასაცილო რა არის აქ? ის, რომ ამ ვაჟბატონებს, რომელთაც ქალაქის სამი უბანი ვერ შემოუვლიათ, თავიანთი თავი იმ ღარიბი ხალხის მხსნელათ მოაქვთ, რომელსაც ხშირათ უსაქართლოთ ორჯელ აძრობენ ტყავს. ღმერთო, გვიხსენ ასეთი მხსნელებისა და პატრონებისაგან, თორემ ესენი რომ მართლა ჩვენი პატრონი შეიქნენ — უთუოთ ოსმალეთში უნდა გადავსახლდეთ ..

მართალია, თუ ჩვენი ქალაქის კეთილშობილ მამინაცვლებს არ აქვთ ყნოსვა, სამაგიეროთ სუნის აღება სცოდნია, რა საკვირველია, ფულის, ერთ ქუთათურ ახალგაზდა ექიმს. ამ პატივცემულ ექიმთან მივედი ერთხელ და ვთხოვე ცხვირი ელექტრონით გამოეწვა ჩემთვის, რომელიც სურდოსაგან გამისივდა. გამშინჯა და მითხრა: თუ ახლავე არ იწამლე, ცხვირი წაგიხდება, და უნდა მოიჭრაო და თუ არ მოიჭრი, მოკვდებიო. მეც გულდათუთქულმა დავუწყე ხევწნა, რომ იაფათ ეწამლა, როგორც ღარიბი კაცისთვის. ამ მუდარის შემდეგ მითხრა, რადგანაც ღარიბი ხარ, 25 მანეთს გამოგართმევო. ოცდახუთი მანეთის გაგონებაზე პირს კატა მეცა, ოცდახუთი მანეთი ოცდახუთი წელია ერთათ არ მენახა. რა უნდა მქენა, — დავუწყე ყვავილ ბატონებივით ხევწნა, და ელოსა და ჩითისვაჭრობის არ იყოს, 15 მანეთზე დავიყოლიე. ავიღე ათი მანეთი და ვთხოვე, ეს დღეს იყოს და 5 მანეთსაც მოგართმევ მეთქი. ამ სიტყვების გაგონებაზე იყვირა ეკსულაპმა, როგორ თუ მევაჭრები და მენისიები, აქ მე სამიკიტნო კი არ მაქვსო; თუ ღარიბი კაცი ხარ, ნახე, აბა შენზე მდიდარი თუ ვინმე მოვიდესო, და მე ამ ღარიბებიდან უნდა ვჭამო პურიო. შენს ცხვირს მე 5 წუთში მოვარჩენ და ფულიც ახლავე უნდა მომცეო. რა გაეწყობოდა, გამოწეხთხოვე ჩემი ცხვირის მოარჩენის იმედს და გამოვედი გარეთ. ცხვირი მადლობა ღმერთს, უეჭიმოთაც შემჩრა.

კანაზნა.


გერმანიის მუშათა კლასი და რუსეთის რევოლიუცია*)

ამხანაგებო! გერმანიის სოც.-დემ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, როგორც კი გაიგო ჩე-

*) ამ სათაურით დაიბეჭდა „Vorvärt“-ის ამა წლის № 136-ში როზა ლიუქსემბურგის მისაღმების სიტყვა, თქმული, გერმანიის სოც.-დემ. ცენტრ. კომიტ. მიწოდებით, რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ლონდონის სიესხზე.

მი განზრახვა, რომ მე მსურდა დავსწრებოდი რუსეთის პარტიულ სიესხს, გადასწყვიტა ესარგებლა ამ შეწყობილ თხვევით და ამიტომ მომანდო მოგიძღვნათ თქვენ მისი ძმური საღამო.

გერმანიის სოციალდემოკრატია უკვე დაამტკიცა საქმით, რომ იგი ყოველთვის მზათ არის ისარგებლოს და იხელმძღვანელოს იმ მეტათ ნაყოფიერი გაკვეთილებით, რომელსაც იძლევა დღეს რუსეთის რევოლიუციის გამოცდილება. პირველი საყურადღებო ნაყოფი, რომელიც ჩვენი პარტიისათვის რუსეთის პროლეტარიატის მედგარმა ბრძოლამ გამოიღო, ეს არის იენის პარტიეტაგის რეზოლიუცია საყოველთაო გაფიცვის შესახებ. გაფიცვა პირველათ რუსეთის რევოლიუციაში იქნა გამოყენებული სრულიათ ახალი ფორმით, — არა ისე, როგორც ეკონომიურათ გამაღონიერებელი პირდაპირი საშუალება, არამედ როგორც იარაღი პოლიტიკური ბრძოლისა, არა ისე, როგორც რაღაც სასწაულმომქმედი საშუალება, რომლითაც უცაბედი, მოულოდნელი ნახტომით ვითომ სოციალისტურ წყობილებაში გადასვლა შეიძლებოდა, არამედ როგორც კლასიური ბრძოლის საშუალება თანამედროვე კონსტიტუციონურ სახელმწიფოს ელემენტარულ თავისუფლებათა მოსაპოვებლათ. გერმანიის სოციალდემოკრატია პრინციპიალურათ პირველმა შეიტანა იგი (საყოველთაო გაფიცვა) თავის არსენალში, როგორც ახალი საშუალება პოლიტიკური ბრძოლისა. განსაკუთრებით საყურადღებოა, ამხანაგებო, ის გარემოება, რომ ჩვენი პარტია, როცა მან საყოველთაო გაფიცვაზე აზრი შეიცვალა (და ეს დიდ პატივსა სდებს გერმანიის პროლეტარიატს), სულაც არ ხელმძღვანელობდა რუსეთის რევოლიუციის გარეგანი გამარჯვებით. იენის რეზოლიუცია მეტი თუ არა, ერთ თვეზე წინათ მაინც იქნა მიღებული, სანამ პირველს და დღემდე ერთათ-ერთ თვალსაჩინო საყურადღებო გამარჯვებას მოიპოვებდა რუსეთის რევოლიუცია საყოველთაო გაფიცვის გამოყენებით, სანამ ღირს შესანიშნავი ოკტომბრის დღეები დადებოდა, სანამ აბსოლიუტიზმის ხელიდან გამოგლეჯილი 17 ოკტომბრის მანიფესტი გამოცხადდებოდა. მანამდე კი რუსეთის პროლეტარიატი თუმცა, მიუხედავათ გმირული ბრძოლისა, გარეგან დამარცხებებს განიცდიდა, მარა გერმანიის მუშათა კლასი მაინც არა ნაკლებ გრძნობდა თავის, კლასობრივი ინსტიტუტის წყალობით, რომ ასეთ გარეგან დამარცხებებში იმალებოდა საოცარი ჩქარი განვითარება პოლიეტა-



რული ძალისა, რაც უტყუარი თავდებია სრული გამარჯვებისა მომავალში. 1905 წელს ოქტომბრის და ნოემბრის დღეებმა, რევოლიუციონური ტალღების, ზვირთების უპაღლესმა წერტილმა, რომელსაც რევოლიუციამ მოსკოვში დაწყებულ დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებით მიიღწია, — ყოველივე ასეთმა ამბავმა სულ უფრო მალლა ასწია გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ რაზმების აღმაფრენა. განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ავსტრიაში ძლიერი დემონსტრაციები გაიმართა საყოველთაო საარჩევნო უფლების მოპოებისთვის, გერმანიაში, 1906 წლის დასაწყისში თითქმის ასეთი კიოხკა შეიქნა გადასაწყვეტი: ხომ არ დამდგარა ჯერ ისეთი დრო და პირობები, რომ შეიძლებოდეს საყოველთაო გაფიცვის ან დემონსტრაციის პირდაპირი გამოყენება პრუსიისა და საქსონიის ლანდტაგებში საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოსაღებათ? ის აზრი, ვითომ შეიძლებოდეს ძლიერი და ფართო მასიური მოძრაობის ხელოვნურათ გამოწვევა, უარყოფილი იქნა, მარა 1907 წ. 17 იანვარს გამბურგში მიიწვი მოაწყვეს, ნახევარი დღით, დემონსტრაციული საყოველთაო გაფიცვა, რომელმაც საუცხოვოთ ჩაიარა და ძლიერ გამამხნეველი, გამაკეთილშობილებელი გავლენა მოახდინა გერმანიის სოციალდემოკრატიის თვით ამ ძველი ცენტრის პროლეტარიატის ფართო მასაზე.

შემდეგ წელს რუსეთის პროლეტარიატმა მთელი რიგი გარეგანი დამარცხება განიცადა. გერმანიაშიც იგი ჩვენთვის გარეგან პარლამენტარულ დამარცხებით დასრულდა. 1907 წ. 25 იანვარს რეისსტაგის არჩევნებში დავმარცხდით. როგორც იცით, ამ არჩევნებში ჩვენ წინააღმდეგ თავი მოიყარეს ყველა ბურჟუაზიულმა პარტიებმა და, ცენტრის გარდა, საერთოთ შეკრეს ერთი რეაქციონური ბლოკი საერთო ლოზუნგით: ძირს კლასობრივი წარმომადგენლობა მოწინააღმდეგე პროლეტარიატისა, ძირს სოციალდემოკრატია. ისე თვალსაჩინოთ არასოდეს არ განხორციელებულა ლასალის თქმულება „ერთიან რეაქციონურ მასაზე“, როგორც ეს მოხდა ზემოხსენებულ არჩევნების დროს. მოკლეთ რომ გერმანიის რეისსტაგის არჩევნების შედეგი გამოვხატოთ, შეიძლება ითქვას, რომ გერმანია 1907 წელს 25 იანვრისა და 5 თებერვლის შემდეგ აღმოჩნდა ერთათერთი თანამედროვე ქვეყანა, სადაც აწი კვალიც აღარ მოიძებნება არც ბურჟუაზიული ლიბერალიზმის, და აღარც ბურჟუაზიული დემოკრატიისა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. სწორეთ ყველაზე უფრო ამ ლიბერალიზმმა გამცემლობამ ჩაგვაგდო ჩვენ უკანასკნელ არჩევნების დროს მსხვილ მემამულე

ლეთა რეაქციის კლანჭებში, და თუკვირდებოდეს ბერალეზი რიცხვით მეტი შედიან რეისსტაგში, ვიდრე ეს წინეთ იყო, მარა დღეს ისინი წარმოადგენენ მხოლოდ რეაქციის საცოდავ მსახურთ, რომლებიც ეფარებიან ლიბერალურ „ვივესკას“. ასეთმა გარემოებამ ჩვენშიც გამოიწვია მთელი რიგი კითხვებისა, რომლებსაც თქვენთვის ფრიად საყურადღებო და ცხოველი მნიშვნელობა აქვთ.

ბევრი რუსი ამხანაგი რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლის განსაკუთრებულ სიმწელეს ხედავს იმ გარემოებაში, რომ დღეს რუსეთში პროლეტარიატი ერთი მხრივ, უნდა გამოვიდეს თავისი კლასიური ინტერესების თანახმით წინააღმდეგ გაბატონებული კლასებისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიისა და იმავე დროს მეორე მხრივ, ახლათ უნდა შექმნას მან ელემენტარულ-ლიბერალური და დემოკრატიული პირობები თანამედროვე სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა. რამდენიმეა ჩვენც, გერმანიაში, ასეთივე უხერხულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ბურჟუაზიულ ლიბერალიზმის სრულიათ გაკოტრების გამო ჩვენ, პროლეტარიატის პარტიას, წილათ გვხვდა არა მარტო დაცვა გაყვლეფილთა მატერიალური და სოციალური კლასიური ინტერესებისა, არამედ ელემენტარულ ბურჟუაზიულ თავისუფლებათა მოპოვებაც. ისიც რომ არა ვთქვათ, რომ ჩვენ მომეტებულ ნაწილათ ლანდტაგებში საზოგადოთ არა გვაქვს მოპოვებული საყოველთაო საარჩევნო უფლება, რომ ჩვენ ჯერ კიდევ გვაიწროებს და სულს გვიხუთავს ათასგვარი ნაშთი საშვალო საუკუნოების ფეოდალიზმისა, ის თავისუფლების ნამცეცებიც კი, რომლებითაც ჩვენ დღეს ვსარგებლობთ, როგორც არის რეისსტაგის საყოველთაო საარჩევნო უფლება, უფლება კოალიციისა, კავშირისა, კრებისა, — ესეც კი ჯერ არ არის უზრუნველყოფილი ჩვენთვის. ჩვენ ყოველ ჟამს იძულებული ვართ დარაჯათ ვუდგეთ ამ ელემენტარულ უფლებებს, რომ დავიფაროთ იგი რეაქციის მტაცებლობისაგან. და ყველა ამ კითხვებში ბურჟუაზიული ლიბერალიზმი სრულიათაც არ არის საიმედო მოკავშირე, — ყველა ასეთ შემთხვევებში მხოლოდ და მხოლოდ მარტო შეგნებული პროლეტარიატი გამოდის, როგორც მკვიდრი, სრულიათ საიმედო, მედგარი და ნაყოფიერი ძალა გერმანიის დემოკრატიული განვითარებისა.

(გაგაქლება იქნება).

უცხოეთი.

გერმანია. მადლია წრეების გარყვნილება. მსჯელია უბრალო მომაკვდავმა წარმოადგინოს ის საძინე-

ქვემოთაა
საქართველოს

ლი გარეუნილება, რომელთაც საზოგადოთ გასწინდის
 ანან კერეთ წოდებულ „ძალადი წრეები“, და განსა-
 კუთრებით კამარია, რომელიც გარს ახეკავს მეფეებს.
 ამის საუცხოველ სურათი გადაიშალა ამ დღეებში ბერ-
 ლისის სასამართლოში. უუწინაღობა გარდენმა თავის
 გახეთში ზირდა ზირ გამომდინარე, რომ გენერალი მოლ-
 ტკე იმდენათ გარეუნილება, რომ სოფლის ცოდვის ჩა-
 დისო. (ლამაზ სადღაობის წიგნი). თუქც
 გარდენი ფორმალურათ მოლტკეზე სწორდა, მაგრამ ნამ-
 დელათ ნიშნში ამოღებული ქონდა მთელი ის წრე
 ზილივე ეილებურ გის, რომლის თვალსაჩინო წიგნი
 მოლტკე ეყო, და რომელიც გარს ესვარს გერმანიის ამ-
 ზინატორს ვილგელმს და მთელ სახელმწიფოს საქმეებს
 როგორც უნდოდათ ისე ატრიალებდენ. გარდენი ზასუ-
 სის გეხში მისცეს ვითომც და ცილის დაწამებისთვის,
 მაგრამ სასამართლოში გამოაშკარავდა მრავალი ფაქტი.
 უმადლეს წრეების გარეუნილების დამამტკიცებელი, და
 გარდენი გამართლეს.



**მწიგნობრობის გამრცელების სახმე რაზა-
 ლიხუში.**

ვახეთ „ჩვენი ვხის“ 12 ოქტომბრის № 31-ში
 უკანასკნელ გვერდზე დასტამებულია პატარა, მაგ-
 რამ ფრიად მნიშვნელოვანი წერილი რედაქციის
 მიმართ. რადგან დღევანდელი ჩემი შენიშვნები ამ
 წერილითაა გამოწვეული და, რადგან ვიცი, რომ
 აკადემიური ასოთი აწყობილი წერილი ორიოდ
 მკითხველის მეტს არ ექნება წაკითხული, ამისათვის
 მომყავს აქ იგი სიტყვა-სიტყვით:

„რადგანაც რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი უკან სდგას
 დღეს შედარებით სხვა მხარეზე სწავლა-განათლების
 მხრივ, და, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომ ჯერო-
 ვან ყურადღებას არავინ არ აქცევს მას, რომ ამ
 კუთხეში შეიტანონ სინათლე, ამიტომ ჩვენ ზემორე-
 ხსენებულ მაზრების მკვიდრნი, დროებით თფილის-
 ში მყოფნი და მომუშავენი, რაოდენიმე პირნი შე-
 ვიკრიბენით ერთათ და ერთხმათ დავადგინეთ, შეს-
 დგეს, რაც შეიძლება, საჩქაროთ შემდეგი სახელ-
 წოდებით ნებადართული საზოგადოება: „რაჭა-
 ლეჩხუმ და სვანელ მცხოვრებთა შიდა-განათლების
 გამაგრებელი ამხანაგობა“.

ამ ამხანაგობას მიზნათ ექნება.

ა) გახსნას ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, ბ)
 დროის შესაფერი შკოლები, გ) წიგნის მაღაზიები,
 დ) შეიძინოს ადგილობრივ მკვიდრთათვის შრომის
 აუცილებელი და საუკეთესო იარაღები, მაგალითათ
 მანქანები და სხვა.

ამ ამხანაგობის წევრებათ შეუძლიათ იყვნენ

ყველა ზემორე ხსენებულ მაზრების მკვიდრნი,
 ნურჩველათ სქესისა და რწმენა-მიმართულებისა, რო-
 მელიც კი იქნებიან ხალხის კეთილდღეობის გა-
 მომხატველნი. საწევრო პაი თითველ წევრზე იქნე-
 ბა 10 მან. წლიურათ.

მსურველთ შეუძლიათ ჩაწვირონ ჯერ ჯერობით
 ქ. თფილისში, „ნიკოლოზის მოედანი“, მეპურეთა
 ფქვილის საწყობ კანტორაში.

როგორც მკითხველიც დაინახავს, შინაარსი ამ
 უბრალოთ გამოთქმულ წერილისა ფრიად საქირ-ბო-
 როტო და საამდროო საკითხს ეხება ჩვენი ცხოვრები-
 სის. სახელდობრ, თფილისში დაარსებული ახალგაზ-
 დათა წრე, რომელსაც განუზრახავს რაჭა-ლეჩხუმისა
 და სვანეთის მკვიდრთა შიგნის სინათლის შეტანა. ეს
 კოფრიად საინტერესო საქმეა იმათთვის, ვისაც „მეტე
 სინათლის“ მოფენა სურს სიტყვით და საქმით, ვინც
 დაბოი ხალხის ვათვითცნობიერებას ეწევა, ვისაც ქა-
 ლაქებში შეძენილ სწავლა-ცოდნის სოფლათ გატანის
 მსურველია და ვინც მრავალ ქალაქებზე დანაბეჭდის
 ხალხში გავრცელებას მიესწრაფვის. აი ამ გვამთა
 საყურადღებოთ მინდა მეც პრაქტიკულ გამოცდი-
 ლებაზე დამყარებული ჩემი შენიშვნები წაუშეღვარო
 წინ მათ იდეურ-პრაქტიკულ მოქმედებას, რითაც
 შრომა უფრო განაყოფიერდება.

საზოგადოთ მიღებულია, რომ დასავლეთ სა-
 ქართველო-იმერეთში სწავლა-განათლების საქმე
 კავკასიის ყველა კუთხეებზე წინ დგასო. ასეთი
 დასკვნა სწორეთ უცილობელია უსტატისტიკო-
 თაც. მაგრამ ეს იმერეთის ყველა შემადგენელ ნა-
 წილებზე როდი ითქმის, და უპირველეს ყოვლისა
 რაჭა-ლეჩხუმსა და განსაკუთრებით სვანეთზე, რო-
 მელიც უგზოობის გამო ყოველგვარ კულტურულ
 განვითარებას მოკლებულია, რადგან მთელი წლის
 განმავლობაში 8-9 თვეს ჩაკეტულია მიუვალ მთებ-
 ში. მე ამხელათ არ მაქვს ცნობები იმის შესახებ,
 თუ რამდენი განმანათლებელი დაწესებულებანი,
 შკოლები, ბიბლიოთეკები და სხ. არსებობენ რაჭა-
 ლეჩხუმში, რომ პროცენტულათ შევადარო იგი სხვა
 დანარჩენ ჩვენ კუთხეებს. ვარაუდათ კი რამდენა-
 თაც ვიცნობ ამ მხარეს ჩვენი ქვეყნისას, შემძლია
 ვთქვა, რომ იქ განმანათლებელი დაწესებულებანი,
 შკოლები სხვა მხარეებზე ნაკლებია. სამკითხველოე-
 ბი ხომ ერთ ორ ალაგს არსებობდა (ონსა და ამ-
 ბროლაურში) და დღეს ისინიც სულს დაფვენო,
 იწერებიან ადგილობრივი გულშემატკივარნი. მათ
 ხელმძღვანელი არა ყავთ, წიგნები არსადლაა, გა-
 ზეთები არ მოიძებნებაო, ყურნალ-გაზეთებსაც კერძო
 პირები სულ მოკლებულნი არიან, რადგან ფოსტა

იქ კვირაში ერთხელ მიდის და მაშინაც გამოწერილი გახეთები სანახევროთ ეკარგება გამომწერლებს.

რაკი წიგნის მალაზიები არ არის, საკითხავ წიგნებს რომ თავი დავანებოთ, შკოლებში სახმარებელი წიგნების შოვნა აქ მეტისმეტათ ჭირს. ყველა შკოლის მასწავლებლები კერძოთ იძენენ მათ და ისინი ურიგებენ შევირდებს და ხშირათ თითო წიგნით ორ-სამ ვერსზე მოსიარულე ბავშვები სარგებლობენ.

ამნაირ მდგომარეობაშია სწავლა-განათლების და მწიგნობრობის გავრცელების საქმე ჩვენი ქვეყნის ამ უშვენიერეს მხარეში. მაგრამ მკითხველი ნუ იფიქრებს თითქოს აქ წერა კითხვის მცოდნენი ძალზე მცირე იყოს, პირიქით აქ წერაკითხვის მცოდნე და საზოგადოთ შეგნებულნი, რასაკვირელია, ვერ ვიტყვით გურიის ოდენიათქო, მაგრამ დანარჩენ კუთხეებს კი არ ჩამორჩებიან. მერე რით აიხსნება ესო, საიდან ისწავლეს წერაკითხვა ამ მთიულეებმა, თუ კი იქ არც შკოლებია და არც სხვა რამ განმანათლებელი დაწესებულებანი, იკითხავს განცვიფრებული მკითხველი?!

ეს იმით აიხსნება, რომ როგორც მთელათ იმერეთში, მთ უფრო აქ მეტსმეტი სიძვირეა მიწების. სოფლის მშრომელს მიწა, ცხოვრების ეს უპირველესი საღსარა არ მოეპოვება. რამდენათაა აქ მიწის ნამეტანი სიძვირე, ეს იქიდანაც ჩანს, თუ როგორ ფასობს, მაგ. რაჭაში ქცევა სავენახე, საყანე ან საეზოვე ადგილი. მისი ფასი 500 — 1000 მან. აღის და მეტიც; ქვემო იმერეთში კი მიწის ფასი 50 — 200 300 მან. არ აღემატება. თუმცა მიწის ამნაირი სიძვირეა იქ, მაგრამ რაჭველი მაინც ახერხებს 2 — 3 წელიწადში ერთხელ მოიაროს თავის სახლი და თითო ოროლა ქცევა მიწა შეიძინოს მებატონისაგან. მერე საიდან, რა საშვალეებითო, უეჭველია, იკითხავთ? ოჯახიდან თითო, ოროლი და ხანდისხან სამი კაცი მიდის ეგრედ წოდებულ „отхожий промысел“-ზე ქალაქებსა და სოფლებში; იქ შოულობს ორიოდ გროშს, ჯერის თავს, მაიქვს შინ და ყიდულობს მიწას თავის მებატონესაგან, რომელსაც ამ მამულის შექენა-დამტკიცებისათვის შეიძლება, ხანდისხანჯლითაც ხელში, მხოლოთ ის დაუხარჯავს, რომ თავადის ან აზნაურშვილის გვარი შეურჩენია შთამომავლობისაგან.

მთელი საქართველოს კუთხე, ნამუტურ ქართლ-კახეთი, თფილისი, ქუთაისი და სამეგრელო სავსეა რაჭველებით. აქ ისინი არიან საუკეთესო ხურეობი,

ღურგლები, მებალენები, მეწისქვილეები, მკობელნი, მეკურტნეები, მხერხველები და სხვა. აი ამ სიარულსა, და სხვადასხვა ადგილებში ცხოვრებით, ამა თუ იმ კუთხის ხალხთან დამოკიდულებაში, ისინი იძენენ სწავლა-ცოდნას, წერა-კითხვას, გამოცდილებას, შეგნებას და შინ დაბრუნებულნი ცხოვრების მოთხოვნილებებს იფართოვებენ: შეილება ზრდინან, თითონაც ანბანს სწავლობენ, გახეთების და წიგნების კითხვას ეტანებიან, ნიკთაერ მოთხოვნილებებს ფართოთ იკმაყოფილებენ და ასე ამრიგათ შეგნებულ ცხოვრებას ეწევიან.

აი ამგვართა რიცხვი რაჭა-ლეჩხუმში დღითიდღე მატულობს; თან ამას შკოლებში გაწვრთნილი ახალგაზდობაც ემატება და ამნაირათ ბუნებათ ნიჭიან და დღეს ამ სურვილებს უნდა დაკმაყოფილება და მართლაც რაჭა-ლეჩხუმის მკხოვრებთ ისევ თავიანთ მკვიდრთა და დროებით თფილისში მყოფთა შორის აღმოჩენიათ ახალხზდა გულშემატკივარნი; მათ თავი მოუყრიათ, მოუღალაპარაკებიათ და ზემორე მოყვანილი სრულიად ლევალური ამხანაგობა დაუარსებიათ. აი ეს „ჯგუფი“ სოციალდემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელობით აპირებს რაჭა-ლეჩხუმში, უმთავრესათ, მწიგნობრობის გავრცელების საქმეს ემსახუროს.

მეც ჩემი წიგნის მალაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორით ერთი ხელმოკლე და მარტახელი მოსამსახურეთაგანი ვარ ამ მიზნისა და ამისათვის მინდა გაუზიარო ხსენებულ თფილელ „ამხანაგობას“ ჩემი გამოცდილება ამ საქმეში, რათა ერთი მეორის დახმარებით უკეთ მოვაწყუოთ ეს საქმე რაჭა-ლეჩხუმში და რაც მე ერთმა კაცმა ვერ შევძელი, ამათ შეავსონ და ასე შეერთებული ძალით ხალხის ესედონი წყურვილი მწიგნობრობისადმი დავაკმაყოფილოთ. შემდეგ №-ში რაჭა-ლეჩხუმის მკვიდრთა ამ გაღვიძებულ სურვილზე მექენება ლაპარაკი და აი იქ დავსახავ იმ პრაქტიკულ საშვალეებს, რომლითაც მე ვაკმაყოფილებდი იმათ მოთხოვნილებას და დღეს რამ მაიძულა ამაზე ხელი ამელო, ან როგორ უნდა განვაძოთ იგი დღეიდან...

ისიდორე კვიციანიძე.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. კოსტინიძე.